ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ცხინვალი იტალიისგან აღიარებას ელოდება

გვ.2

17 ოქტომბრიდან

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ქართული დეტექტივი მე-15 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ხუთშაბათი, 19 ოქტომბერი, 2017 №248 (7482) ფასი: 50 თეთრი

თორნიკე მამალაძე: „მამა გიორგი მამალაძე განწირეს“

გვ.3

საქართველოში სიმართლის პოვნა შეუძლებელია. ელემენტარულად სამართლიანობას ეკლესიაშიც კი ვეღარ იპოვი და ასეთ დროს რა უნდა მოსთხოვო სასამართლოს. პირადად მე არ მჯერა, რომ საქართველოში სამართალს ვიპოვით.

ციანიდის საქმის შემსწავლელ საპატრიარქო კომისიაში მეუფე იაკობი და შორენა თეთრუაშვილი იქნებიან?

მირიან მირიანაშვილი: „რევოლუციის მოწყობა ჩაიშალა ორ ქვეყანაში“

გვ.4

რა გეგმები აქვთ რუსეთის სპეცსამსახურებს უკრაინასა და საქართველოში

რომან გოცირიძე: „ქართულმა ოცნებამ“ წინასაარჩევნოდ 100 მილიონი შავი ფული დახარჯა“

გვ.4

„ხელისუფლება ბიზნესს ატერორებს“

რამაზ საყვარელიძე: „დღეს ბროლის კოშკებით ვეღარავის მოატყუებ“

გვ.2

დავით ზარდიაშვილი: „მიწაზე სათემო საკუთრება უნდა აღდგეს“

გვ.6

სამართალი გვ.7

ნანა კაკაბაძე პრეზიდენტის დაკითხვას ითხოვს



საქართველოს მოქალაქე ქალბატონმა ბაქოში იტალიელი გაძარცვა

ფოთში რვა თვის ბავშვი მეოთხე სართულიდან გადმოვარდა

ISSN 1987-9385

7 ოთარ აბესაძეს ჰოსპიტალში გადაიყვანეს

3 სალომე სამადაშვილი: „ხელისუფლება ბაღების, სკოლების მასწავლებლებს შეხვედრებზე იძულების წესით მიერეკება“

11 გოგი ოჩიაური გარდაიცვალა

7 პროკურატურამ ტრანსგენდერი ქალის ცემისთვის ერთ პირს ბრალდება წარუდგინა

რამაზ საყვარელიძე: „დღეს ბროლის კოშკებით ვეღარავის მოატყუებ“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს აფასებს.

– ბატონო რამაზ, როგორ შეაფასებთ წინასაარჩევნო პერიოდს, თუ გამოარჩევთ მას სხვა წინასაარჩევნო პერიოდისგან?

– დაძაბულობა ნამდვილად ნაკლებია სხვა წინასაარჩევნო პერიოდთან შედარებით. ხანდახან მოგეჩვენება, რომ თითქოს არც კი არის არჩევნები, არადა არჩევნებამდე სულ რაღაც ორი დღეა დარჩენილი. ეს მხოლოდ იმის დამსახურება არ არის, რომ ადამიანები გულგრილები არიან არჩევნების მიმართ და მათ ეს არ აღელვებთ ან დაიღალნენ.

თუ მედიას შევხედავთ, იქ, რასაკვირველია, არჩევნები იგრძნობა და ამას ვერ გავექცევით, ეს ასეც უნდა იყოს. კანდიდატებს შორის იმართება დებატები, ეს ძალიან კარგია, ისმება მწვავე კითხვები, პასუხებიც არის, მაგრამ ერთი, რაც ასევე იმსახურებს აღნიშვნას, არის ის, რომ ჯერ-ჯერობით კორექტულობის ფარგლებშია ყველაფერი.

– მაინც რას უკავშირებთ, რომ ეს არჩევნები ნაკლებად ხმაურიანია, პოლიტიკური ელიტა გაიზარდა, თუ ამომრჩეველს უფრო აინტერესებს საქმე, ვინ რისი გამკეთებელია?

– მე მოგახსენეთ, რომ მხოლოდ ის არ არის მიზეზი, რომ ამომრჩეველი დაიღალა და არ აინტერესებს, პირიქით, ძალიან აინტერესებს, მაგრამ არა ხმაური, არამედ რაც თქვენ აღნიშნეთ – ვინ რისი გამკეთებელია.

რაც შეეხება იმას, გაიზარდა თუ არა პოლიტიკური ელიტა, ამას ვერ ვიტყოდი. შეიძლება ვიღაც ხვდება, რომ საზოგადოებას მობეზრდა აყალმაყალი, ჩხუბი, ურთიერთბრალდებები, რაც ხშირ შემთხვევაში პოლიტიკოსების, პარტიების მხრიდან შეგნებულად გადადგმული ნაბიჯიც იყო, ერთგვარი ტონუსის ასაწევად, მაგრამ დღეს საზოგადოება პოლიტიკოსებისგან საქმის კეთებას ელოდება, ხალხი მოლოდინშია. უკვე ის დროა, როდესაც ვეღარ მოატყუებ ამომრჩეველს, ამას ვიზამ და იმას ვიზამ, ბროლის კოშკების



აგების დაპირებით, ვეღარავის მოატყუებ. ეს დრო წარსულს ჩაბარდა.

– შეიძლება ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ნაკლებად ანგაჟირებული კანდიდატები არიან თბილისში?

– როდესაც ფეხბურთის მატჩის დროს ორი თანაბარი გუნდი გამოდის მინდორზე, მაშინ დაძაბულობა პიკს აღწევს და თამაშიც საინტერესოა, მაგრამ როდესაც გუნდებს შორის ძალიან დიდია განსხვავება, ერთი გუნდი ვარსკვლავებით არის დაკომპლექტებული და მეორეს შესაძლებლობები მინიმალურია, მაშინ მაყურებელიც უფრო ინერტულია.

ოპოზიციამ ვერ დატოვა ძლიერი კონკურენტის შთაბეჭდილება. მაშინ იქნებოდა ოპოზიცია ძლიერი და მაშინ იქნებოდა ეს არჩევნები დამაინტრიგებელი, თუ ოპოზიციას ერთი, საერთო კანდიდატი ეყოლებოდა. დღეს ხელისუფლება ძლიერის პოზიციაშია.

– რადგანაც ოპოზიცია სუსტია?

– დიახ, სწორედ ასეა. ოპოზიცია არის სუსტი. არ არის ისეთი ვითარება, რომ ხელისუფლების მიმართ კმაყოფილი იყოს ყველა და აღიარებდეს მის სრულ უპირატესობას, მაგრამ ალტერნატივა არ ჩანს.

„ხელისუფლებით გამოწვეული უკმაყოფილება ოპოზიციის პროცენტებზე არ აისახება“

ხელისუფლებით გამოწვეული უკმაყოფილება ოპოზიციის პროცენტებზე არ აისახება. ოპოზიციამ უნდა დაამტკიცოს, რომ მას შეუძლია იყოს ალტერნატივა, სანამ ამას ვერ დაამტკიცებს, მანამდე ეს სურათი გვექნება.

– ამომრჩეველი რამდენად აკეთებს გაცნობიერებულ არჩევანს? საარჩევნო პროგრამებს რამდენად კითხულობს, რამდენად არის დანაპირების შესრულების მოთხოვნის კულტურა, თუ აქამდე ჯერ კიდევ შორი გზაა გასავლელი?

– არც ისე შორი. მე ვთქვი, რომ დღეს ვეღარ მოატყუებ ამომრჩეველს. შეიძლება საარჩევნო პროგრამებს მართლაც ვერ კითხულობდნენ ადამიანები სხვადასხვა მიზეზით, მაგრამ ყველა კარგად ერკვევა და საქმის კურსშია, რა და როგორ. რასაკვირველია, ამომრჩეველიც გაიზარდა დროსთან ერთად.

– სრულად საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასვლის შემდეგ, როცა საკონსტიტუციო ცვლილებები ამოქმედდება, დედაქალაქის მერი ხდება ერთადერთი არჩეული, პირდაპირი ლეგიტიმაციის მქონე თანამდებობის პირი. ეს ხომ არ უბიძგებს თბილისის მერს, რომ უფრო მეტი მოინდომოს, მაგალითად, გახდეს პირველი პირი?

– გულწრფელად რომ გითხრათ, მართლაც არ დავფიქრებულვარ, რომ ერთადერთი არჩეული თანამდებობის პირი იქნება თბილისის მერი, თანაც დედაქალაქის, სადაც ლამის მილიონ ნახევარი საქართველოს მოქალაქე ცხოვრობს. ეს აღუძრავს თუ არა რაიმე სახის მადას არჩეულ მერს? დასავლეთის ქვეყნებში, საპარლამენტო რესპუბლიკებში სახელმწიფოს მეთაურები არ არიან არჩეულები პირდაპირი გზით და დედაქალაქის მერები კი, მაგრამ ამის გამო არავის არ მონდომებია პრემიერმინისტრობა და დიდი ძვრები ამის გამო არ მომხდარა.

– თუმცა, მაგალითად, ლონდონის მერობა ხშირად გამხდარა ტრამპლინი.

– გასაგებია, ძლიერ პოლიტიკურ ფიგურას რა დაუშლის, რომ ამბიციები ჰქონდეს. ეს ლოგიკური გაგრძელებაა. თუ, რასაკვირველია, ჯანსაღი ამბიცია აქვს პოლიტიკოსს, ეს საშიში სულაც არ არის. დასავლეთში ამბიციურობა ჯანსაღი თვისებაა და ამის გამო ქვეყნები არ ინგრევა.

ცხინვალი იტალიისგან აღიარებას ელოდება

შორენა მარსაგიშვილი

ოკუპირებული სამხრეთ ოსეთი დიდი ხანია აცხადებს, რომ რუსეთის შემადგენლობაში შესვლა სურს. ამის პარალელურად ცხინვალის მარიონეტული ხელისუფლების წარმომადგენლები მსოფლიოს მოედნენ და მათგან დამოუკიდებლობის აღიარებას ითხოვენ.

ამ დღეებში ცხინვალის საგარეო საქმეთა მინისტრი დიმიტრი მედოევი ოფიციალური ვიზიტით იტალიას ეწვია და იქ კიდევ რამდენიმე დღე დარჩება. ოსური მედიის ცნობით, ეს მედოევის მეორე საერთაშორისო ვიზიტია საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში.

ოსური დიპლომატიის მამა, დიმიტრი მედოევი, ოსური მედიის ცნობით, იტალიის პროვინცია პეზარო ე ურბინოს სავაჭრო სამრეწველო პალატის ხელმძღვანელ ალბერტო დრუდის მიწვევით ჩასულა იტალიაში.

როგორც მედოევმა ოსურ და რუსულ მედიას განუცხადა, მისი ვიზიტის მთავარი მიზანი იტალიურ მხარესთან ეკონომიკური კავშირების დამყარება ყოფილა.

– სამხრეთ ოსეთმა და იტალიამ შესაძლოა ერთმანეთთან ითანამშრომლონ ღვინის, ყველის, ხორცისა და მინერალური წყლების წარმოების სფეროში, – ამბობს მედოევი.

მან პროვინცია პეზარო ე ურბინოში მთელი რიგი საწარმოები დაათვალიერა და საკუთარი თვალით იხილა, თუ როგორ მუშაობენ იტალიელები.

მედოევის თქმითვე, ევროპაში ოს თანამემამულეთა საზოგადოება „აღორძინება“ მოქმედებს, რომელიც ოსური კულტურის პოპულარიზაციასა და ახალ კონტაქტებზე მუშაობს.

ოსური დიპლომატიის მამის განცხადებით, ევროპაში უკვე მეთერთმეტედ ჩაატარეს ოსეთის დღეები და მისი ეს ვიზიტი ოსი მხატვრების გამოფენის გახსნის დღეს ემთხვევა.

ოსური მედია იმასაც იუწყება, რომ იტალიაში ვიზიტისას მინისტრი აგრძელებს დიპლომატიურ მუშაობას სამხრეთ ოსეთის აღიარების მიზნით.

როგორც თავად აცხადებს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იტალია ერთ-ერთი ქვეყანაა, რომელმაც ინტერესი გამოიჩინა სამხრეთ ოსეთის მიმართ.

მედოევს იტალიაში პარტიული კავშირების დამყარების სურვილიც გასჩენია.

– მე წარმოვადგენ პარტიას „ერთიანი ოსეთი“ და მინდა, რომ იტალიაში რომელიმე პარტიასთან დავამყაროთ კონტაქტი. ჩვენთვის იტალიელ კოლეგებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, – აცხადებს მედოევი.

აპენინებზე მედოევის გასეირნებას თბილისში საკმაოდ მკვეთრი რეაქცია მოჰყვა. საგარეო საქმეთა სამინისტრომ ხალხს აღშფოთების გამოხატვა აცალა და ბოლოს განცხადებაც გვაღირსა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ამტკიცებს, რომ იტალია მტკიცედ უჭერს მხარს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. მათივე განცხადებით, იტალია ასევე მხარს უჭერს საქართველოს ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკას.

– ამის შესახებ არაერთი ოფიციალური განცხადება გაუკეთებია იტალიის ხელისუფლებას. მათი მხრიდან არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერა თვალნათელია როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში. რაც შეეხება ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლის, ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფნას იტალიაში, ეს ფაქტი უნდა განვიხილოთ, როგორც კერძო პირის პირადი ვიზიტი, რომელსაც არანაირი ლეგიტიმაცია არა აქვს. ეს არის რუსეთის უკანონო მცდელობის გაგრძელება საოკუპაციო რეჟიმის რაიმე ფორმით ლეგიტიმაციის მიზნით, – ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო განცხადებაში.

❖ ❖ ❖

იტალიასთან ოკუპირებულმა სამხრეთ ოსეთმა მჭიდრო კავშირების დამყარება 2 წლის წინ დაიწყო. მაშინ მათი პარლამენტის სპიკერი და ახლა უკვე პრეზიდენტი ანატოლი ბიბილოვი პირველად ჩავიდა იტალიაში.

ბიბილოვი და მისი თანმხლები პირები იტალიაში ოპოზიციური პარტია „ჩრდილოეთის ლიგის“ მიწვევით ჩავიდნენ. სტუმრებმა პარტიის მილანური შტაბ-ბინა მოინახულეს.

აღსანიშნავია, რომ „ჩრდილოეთის ლიგა“ იტალიის საკანონმდებლო ორგანოშიც არის წარმოდგენილი. ისინი ცხინვალელებს დაპირდნენ, რომ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხს იტალიის პარლამენტში დააყენებდნენ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ამ ფაქტზეც მოგუდული რეაქცია ჰქონდა. გვითხრეს, რომ იტალია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერს.

ამ განცხადებიდან დაახლოებით ერთი წლის თავზე ცხინვალის მარიონეტულმა რეჟიმმა რომში სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლობა გახსნა. იტალიაში მათი ოფიციალური წარმომადგენელი მაურო მურჯია გახდა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მაშინაც გვითხრა, რომ იტალია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უჭერს მხარს.

მიმდინარე წლის სექტემბერში იტალიის დელეგაცია, მათ შორის პარტია „ჩრდილოეთის ლიგის“ წარმომადგენლები, ცხინვალში ჩავიდნენ.

დელეგაციის შემადგენლობაში იყო ყოფილი იტალიელი დეპუტატი ჯულიეტო კიეზა. ის ერთ დროს ევროპარლამენტშიც იყო წარმოდგენილი. ის მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლებს დაჰპირდა, რომ ევროპარლამენტში სამხრეთ ოსეთის ინტერესებს დაიცავს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

თორნიკე მამალაძე: „მამა გიორგი მამალაძე გაწირეს“

გასულ კვირას სინოდის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც ციანიდის საქმეს შეისწავლის.

აქამდე სინოდის წევრები აცხადებდნენ, რომ სრულად ენდობოდნენ პროკურატურას.

სინოდის ბოლო გადაწყვეტილებამ საზოგადოების ნაწილში გააჩინა იმედი, რომ ციანიდის საქმეზე დაკავებულმა მამა გიორგიმ შესაძლოა, თავისი უსამართლობის დამტკიცება შეძლოს.

საზოგადოების იმედიანად განწყობილი ნაწილისგან განსხვავებული მოლოდინები აქვს დეკანოზის ოჯახს. მამა გიორგის ძმა, თორნიკე მამალაძე, „ახალ თაობასთან“ საუბარში არ გამორიცხავს, რომ ეს გადაწყვეტილება მხოლოდ პიარია და მეტი არაფერი.

რატომ არ სჯერათ გამოძიების, ვინ და რატომ გაწირა დეკანოზი, სად აპირებენ სიმართლის ძებნას, ვინ ცდილობს ოჯახის დაშინებას, შეხვდება თუ არა მეუფე დიმიტრი მამა გიორგი მამალაძეს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ თორნიკე მამალაძე ესაუბრება.

შორენა მარსაგიშვილი

– სინოდის გადაწყვეტილებით, საპატრიარქოში შეიქმნება კომისია, რომელიც ციანიდის საქმეს შეისწავლის. საზოგადოებაში გაჩნდა იმის განცდა, რომ ეს საქმე შესაძლოა თავდაყირა დადგეს. როგორია თქვენი მოლოდინი?

– ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ იქნება კომისიის შემადგენლობაში. კომისიაში ობიექტურად განწყობილი ადამიანები თუ იქნებიან, შეიძლება რამე შეიცვალოს. იმ შემთხვევაში, თუ კომისიაში მეუფე იაკობი, შორენა თეთრუაშვილი და ის პირები შევლენ, რომლებსაც არ აწყობთ სიმართლის დადგენა, არაფერი შეიცვლება. მეტიც, გაგრძელდება უსამართლობა.

– თუ არაფერი შეიცვლება და სინოდის მიერ შექმნილი სპეციალური კომისია იგივეს იტყვის, რაც პროკურატურამ თქვა, რა საჭირო იყო მისი შექმნა? საპატრიარქომ ერთხელ უკვე გამოუცხადა ნდობა საგამოძიებო უწყებას.

– ამ კითხვაზე მე პასუხს ვერ გაგცემთ. ეს კითხვა იმ პიროვნებებს უნდა დაუსვათ, ვისი ინიციატივითაც იქმნება ეს კომისია. ეს კომისია თუ იგივეს გაიმეორებს, რასაც პროკურატურა ამბობს, მაშინ ეს ყველაფერი კეთდება პიარისთვის – საპატრიარქოს სახელის და ავტორიტეტის შენარჩუნება სურს.

ეს ჯანსაღი სურვილია, მაგრამ საპატრიარქო ავტორიტეტს ვერ შეინარჩუნებს თუ ზოგიერთი ადამიანი ისევ დარჩება თანამდებობაზე. მათ გამო საპატრიარქოს რეიტინგი სულ უფრო დაბლა დაიწევს.

– მამა გიორგიმ არაერთხელ ითხოვა მეუფე დიმიტრისთან შეხვედრა. მიტროპოლიტის მხრიდან არაერთხელ გაკეთდა განცხადება, რომ ის აუცილებლად მოინახულებს დეკანოზს. ბოლოს ასეთი განცხადება რამდენიმე დღის წინ მოვისმინეთ. როდისთვის არის ეს შეხვედრა დაგეგმილი და რატომ გაჭიანურდა ეს შეხვედრა?

– როდესაც მამა გიორგის სასამართლომ

ციანიდის საქმის შემსწავლელ საპატრიარქო კომისიაში მეუფე იაკობი და შორენა თეთრუაშვილი იქნებიან?



განაჩენი გამოუტანა, მეუფე დიმიტრიმ განაცხადა, რომ ჩემს ძმას მოინახულებდა. შემდეგ ისე მოხდა, რომ მეუფეს მეუღლე გარდაეცვალა და მამაოს მონახულება ვეღარ შეძლო.

რაღაც პერიოდის შემდეგ კიდევ გავრცელდა ინფორმაცია, რომ მეუფე შეხვდებოდა მამა გიორგის. ცოტა ხანში ითქვა, რომ მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები აქვს, ხერხემალი აწუხებს და სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ვერ შევა.

აქედან გამომდინარე მე არ შემიძლია იმის თქმა, როდის შედგება ეს შეხვედრა. ვიცი ის, რომ მიტროპოლიტი შეხვედრაზე თანახმაა. ჩემი ძმა მასთან შეხვედრას ელოდება. მამა გიორგი მეუფე დიმიტრისთან შეხვედრას დაკავების დღიდან ითხოვს.

– მამა გიორგის არც სხვა სასულიერო პირები ხვდებიან. რჩება შთაბეჭდილება, რომ ის გაწირეს. არც საპატრიარქოს გაუკეთებია მის მიმართ რაიმე მხარდამჭერი განცხადება. არადა რამდენიმე დღის წინ სოსო ოხანაშვილის ჩვენება გასაჯაროვდა, სადაც ნანა კაკაბაძეზე იყო საუბარი. საპატრიარქომ კაკაბაძის მხარდასაჭერად მეორე დღესვე გააკეთა განცხადება.

– ეს პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ საპატრიარქოს ის ხალხი მართავს, რომლებიც ნანა კაკაბაძეს და ირმა ჭკადუას იცავენ, სამაგიეროდ, ხმას არ იღებენ მათი ძმის, მამა გიორგის მხარდასაჭერად.

ძალიან გულდასაწყვეტია, რომ ის საპყრობილეში არ მოინახულეს, არადა ის ითხოვდა, შემხვდით და მნახეთო. ადამიანი ელემენტარულად ზიარებას იხვეწებოდა, მაგრამ არ აზიარეს. ეს ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ მამა გიორგი გაწირეს.

– მამა გიორგი რომ გაწირეს, ამაზე აღარავინ დავობს, მაგრამ რა არის მიზეზი, რატომ გაწირეს დეკანოზი?

– გაწირეს იმის გამო, რომ მან საპატრიარქოში არსებული რაღაც ფაქტები ამოატივტივა. რაღაც ძალებს არ უნდოდა, რომ ამის შესახებ საზოგადოებისთვისაც გამხდარიყო ცნობილი.

ნანა კაკაბაძის დასაცავადაც აქვთ მიზეზები. იმისთვის, რაც სოსო ოხანაშვილმა ჩვენებაში ისაუბრა, წლების წინ მეც მომიკრავს ყური. ჭორის დონეზე ყველამ იცის, რომ საპატრიარქო პატიმრების შეწყალებაში მონაწილეობს. იციან, მაგრამ ამაზე ხმას არ იღებენ, რადგანაც ეშინიათ, ფინანსები არ შეუწყდეთ. ეს ადამიანები საკუთარ ჯიბეებს და თავებს უფრთხილდებიან.

– არის თუ არა რაიმე წინსვლა თქვენს მეორე ძმასთან დაკავშირებით, რომელსაც ცოტა ხნის წინ უცნობი პირი სახლში შეუვარდა და ფულს სთხოვდა. შსს-მ ამ ფაქტზე საქმეც აღძრა.

– ამ საქმეზე რა ხდება და როგორც გვეუბნებიან, მიმდინარეობს გამოძიება. ამდენი ხნის მანძილზე ის პიროვნება ვერ დაადგინეს, ვინც ჩემს ძმას დაესხა თავს. არადა ამის გაკეთება სულაც არ იყო ძნელი, ირგვლივ სულ ვიდეოკამერებია.

ამდენი ხნის მანძილზე რომ თავდამსხმელის ვინაობა ვერ დაადგინეს, ესეც მიუთითებს იმაზე, რომ ეს ყველაფერი ოჯახის დაშინებას ემსახურებოდა. გარკვეულ ძალებს უნდათ, რომ მამა გიორგის ოჯახი დააშინონ და გააჩუმონ.

– ოჯახის პოზიცია როგორია ამაზე?

– ჩვენ არ გვეშინია და არ გავჩერდებით. მამა გიორგი დამნაშავეც რომ იყოს, მაინც არ მივატოვებდით, იმიტომ, რომ ჩვენი ოჯახის წევრია. მით უმეტეს, არ მივატოვებთ მაშინ, როცა ვიცით, რომ ადამიანი უდანაშაულოა.

ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ მისი უდანაშაულობა დამტკიცდეს.

– საქართველოში სამართლის პოვნის იმედი გაქვთ? მამა გიორგის ადვოკატები ფიქრობენ, რომ სამართლის საძებნელად სტრასბურში მოუწევთ წასვლა.

– საქართველოში სიმართლის პოვნა შეუძლებელია. ელემენტარულად სამართლიანობას ეკლესიაშიც კი ვეღარ იპოვი და ასეთ დროს რა უნდა მოსთხოვო სასამართლოს. პირადად მე არ მჯერა, რომ საქართველოში სამართალს ვიპოვით. აქ გავივლით ყველა ინსტანციას, როგორც წესია, შემდეგ წავალთ სტრასბურში. ობიექტურ გადაწყვეტილებას ევროსასამართლო გამოიტანს.

ირმა ინაშვილი ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკურ პროცესებში ჩართვისკენ მოუწოდებს

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი ირმა ინაშვილი ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკურ პროცესებში ჩართვისკენ მოუწოდებს.

ამის შესახებ ინაშვილმა ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციასთან გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, ქვეყანაში ვითარდება მძიმე პოლიტიკური პროცესები, რომელზეც პასუხისმგებელია გიორგი კვირიკაშვილის მთავრობა, რომელიც ხელისუფლებაში სწორედ ბიძინა ივანიშვილის წყალობით მოვიდა. ირმა ინაშვილი მოუწოდებს გიორგი კვირიკაშვილს, დატოვოს პრემიერ-მინისტრის პოსტი და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ხელისუფლებამ არ მოახდინოს ტოტალური გაყალბება, რისი ნიშნებიც, მისი თქმით, უკვე არსებობს.

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი მმართველ პარტიასა და პრემიერ-მინისტრს რიგ პოლიტიკურ პარტიებთან გარიგებაშიც ადანაშაულებს. „საზოგადოებას ახსოვს, რომ მე ბიძინა ივანიშვილს ოთხჯერ მოვუწოდე განემუხტა საკონსტიტუციო კრიზისი და შეეჩერებინა საარჩევნო სისტემის უზურპაცია, რომელიც მის მიერ მოყვანილმა კვირიკაშვილის გუნდმა განახორციელა. ჩვენ გვახსოვს, რომ ის გვპირდებოდა გახდებოდა პირველი ოპოზიციონერი, თუკი დემოკრატიას რაიმე საფრთხე დაემუქრებოდა, თუმცა ის დღეს დუმს. სახეზე გვაქვს უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ქვეყნის გამთლიანებისადმი.

– სახეზე გვაქვს საარჩევნო სისტემის უზურპაცია, შიდა გადატრიალება ქართულ ოცნებაში, საბანკო ტერორი, სიღატაკე და უსამართლობა. ამ უმძიმეს სიტუაციაში კვირიკაშვილი ურიგდება ბოკერიას და ცდილობს მთავარ ოპოზიციურ პარტიებად ნაცმოძრაობის, ბოკერიებისა და ახლა უკვე ვაშაძის წარმოჩენას. ნათელია, რომ ამ ხელისუფლებამ ქვეყანაში რბილი დიქტატურა დაამყარა და ემზადება არჩევნების ტოტალურად გაყალბებისთვის. მოვითხოვთ კვირიკაშვილის გადადგომას და სამართლიან არჩევნებს ქვეყანაში, – აღნიშნა ირმა ინაშვილმა.

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერის განცხადებით, თუკი ქვეყანაში პოლიტიკური პროცესები ამგვარად გაგრძელდება, ქვეყანა შევა უმძიმეს ვითარებაში, საიდანაც გამოსვლა სახელმწიფოს გაუჭირდება. ირმა ინაშვილის განცხადებითვე, მმართველ პარტიაში შიდა გადატრიალებაა. მისი თქმით, პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის ფლანგი ცდილობს უკან ჩააჩოჩოს ის ადამიანები, რომლებიც 2012 წელს ცდილობდნენ ხელისუფლების შეცვლას და იდგნენ საზოგადოების გვერდით.

როგორც ინაშვილმა „ინტერპრესნიუსს“ დასმული კითხვის საპასუხოდ განუცხადა, მსგავსი ვითარება საპარლამენტო უმრავლესობაში შეინიშნება. მისივე თქმით, აქციები, რომელსაც „პატრიოტთა ალიანსის“ მხარდამჭერები უკვე ერთი თვეა მართავენ, მანამ გაგრძელდება, სანამ ხელისუფლება მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს.

სალომე სამადაშვილი: „ხელისუფლება ბაღების, სკოლების მასწავლებლებს შეხვედრებზე იძულების წესით მიერეკება“

– ქვეყანაში დღეს არ არსებობს კონკურენტუნარიანი და სამართლიანი პოლიტიკური შეჯიბრისთვის აუცილებელი ვითარება, – განუცხადა ჟურნალისტებს ნაციონალური მოძრაობის წევრმა, სალომე სამადაშვილმა.

ის გუშინ, 18 ოქტომბერს, თანაპარტიელებთან ერთად ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის წარმომადგენლებს შეხვდა

ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლის ინფორმაციით, ნაციონალური მოძრაობის წევრებმა ენ-დი-აის წარმომადგენლებთან საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობაზე, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასა და პარტიების დაფინანსების არათანაბარ პირობებზე ისაუბრეს.

– ჩვენ დარღვევების მთელი ნუსხა გვაქვს, რომელიც დაგროვდა გასული თვეების მანძილზე. ქვეყანაში დღეს არ არსებობს კონკურენტუნარიანი და სამართლიანი პოლიტიკური შეჯიბრისთვის აუცილებელი ვითარება. ხელისუფლება ბაღების, სკოლების მასწავლებლებს შეხვედრებზე იძულების წესით მიერეკება. საარჩევნო ადმინისტრაციაში ისევ ხდება პოლიტიკური ნიშნით დანიშნული ადამიანების მივლენა იმისთვის, რომ მათ ის დაკვეთა მიიღონ, რომელსაც შესაბამისი ზემდგომი უწყებებისგან მიიღებენ, – განაცხადა სალომე სამადაშვილმა.

მედიანიუსი

რომან გოცირიძე: „ქართულმა ოცნებამ“ წინასაარჩევნოდ 100 მილიონი შავი ფული დახარჯა“

„ხელისუფლება ბიზნესს ატერორებს“

ნონა ცაბაძე

აუდიტის სამსახურმა პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის შუალედური ანგარიში გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც მმართველ გუნდს ყველაზე მეტი შემოწირულობა აქვს. პარლამენტის თავმჯდომარე კი ამის საპასუხოდ აცხადებს, რომ ოპოზიცია თავის ხარჯებს და შემოსავლებს მალავს. „ახალი თაობა“ ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის ლიდერს რომან გოცირიძეს ესაუბრა იმის გასარკვევად, საიდან ფინანსდებიან ნაციონალები და მალავენ თუ არა შემოსავლებს და ხარჯებს.

– ბატონო რომან, აუდიტის სამსახურის ანგარიშის მიხედვით, ივლისიდან ოქტომბრის ჩათვლით, ყველაზე მეტი შემოწირულობა მმართველ პარტიას აქვს მიღებული. „ოცნებაში“ კი აცხადებენ, მმართველი პარტია ვართ და ეს გასაკვირი არ არის, ოპოზიცია კი შემოსავლებს და ხარჯებს მალავსო. რას იტყვით თქვენ?

– „ქართული ოცნება“ ატერორებს ბიზნესს, აიძულებს, რომ გადაახდევინოს ფული. ეს ფული, რომელიც ჩანს, არის ლეგალურად გამოჩენილი ფული, რომელსაც ტენდერებში მონაწილე კომპანიები უკან ურიცხავენ „ქართულ ოცნებას“, თორემ ათი ამდენი აქვთ დამალული ფული.

– ირაკლი კობახიძის განცხადებით, წარსულს ჩაბარდა ის დრო, რასაც ნაციონალები აკეთებდნენ, ატერორებდნენ ბიზნესმენებს და ძალით ართმევდნენ ფულს.

– ახლაც არ აკლებენ. ჩვენი გაანგარიშებით, მათ 10-ჯერ მეტი, ანუ 100 მილიონი აქვთ დახარჯული, ვიდრე ამას აჩვენებენ. ადმინისტრაციული რესურსი, ბიუჯეტიდან ფულის უკან წამოღება. ჯერ ესეც დანაშაულია, რომ ამ უზარმაზარ ტენდერებს იგებენ მათთან დაახლოებული ფირმები. ამ გზითაც დიდძალი თანხების მობილიზებას ახდენენ არა მარტო წინასაარჩევნოდ, არამედ პირადი ცხოვრების ასაწყობად.

– ოპოზიციის დაფინანსებაზე რას იტყვით?

– ოპოზიციის დაფინანსების ეშინია ბიზნესს. ნაციონალურ მოძრაობას მინიმალური ოდენობის შემოწირულობები აქვს მიღებული. ეს არის ლეგალურად მიღებული.

– ეს საკმარისია წინასაარჩევნოდ? აქტიურობთ, მოძრაობთ, პლაკატებიც გაქვთ.

– ჩვენი დადანაშაულება, რომ რაიმე ხარჯს ან შემოსავალს ვმალავთ, არის სრულიად აბსურდული. ძალიან კარგად იცის ხელისუფლებამ, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ 8 მანქანა გავყიდეთ პარტიაში, ნაციონალურმა მოძრაობამ გაყიდა ერთ-ერთი საუკეთესო ოფისი ბათუმის ცენტრში, სამსართულიანი შენობა. ნაციონალურმა მოძრაობამ სულ ახლახან გაყიდა ოფისი რუსთავში.

– ამ ფულით აფინანსებთ თქვენს კამპანიას?

– დიახ, ჩვენ ასე მოვახდინეთ თანხების მობილიზება. ასევე ნაციონალური მოძრაობა ყიდის თავის ყველაზე დიდ სიმდიდრეს, აეროპორტის გზაზე მდებარე ერთ-ერთ არქიტექტურულად ყველაზე ლამაზ და თანამედროვე შენობას. რამდენჯერაც მოვიდნენ მყიდველები, იმდენჯერ დააფრთხეს. მათ არ უნდათ, რომ ნაციონალურ მოძრაობას რაიმე რესურსი გააჩნდეს წინასაარჩევნოდ.

როცა მთავარი ოპოზიციური პარტია ფინანსურად ასეთ მდგომარეობაშია ჩაგდებული და არა მარტო ჩვენ, ეს, პირველ რიგში, მიუთითებს ბიზნესზე ზეწოლაზე და ბიზნესის დატერორებაზე, ვინაიდან ოპოზიციის დაფინანსება ითვლება დანაშაულად. ხოლო მმართველი გუნდის დაფინანსება წახალისდება, მათ შორის, სარფიანი ტენდერების მიღების კუთხით. 100 მილიონი შავი ფული აქვს დახარჯული „ქართულ ოცნებას“

– თქვენ აცხადებთ, რომ „ოცნება“ ბიზნესს ატერორებს, გაქვთ ამის ფაქტები და მტკიცებულებები?

– აბა გამოვიდეს რომელიმე ბიზნესმენი და თქვას, რომ მან ფული მისცა ოპოზიციას. ცნობილ ბიზნესმენებზე მაქვს საუბარი, რომლებიც უამრავი ქველმოქმედებით ამაყობენ, თქვან ერთი, რომელმა მისცა ფული ოპოზიციას?! მაშინვე სუსში დაიბარებენ ამ ბიზნესმენს.

– თქვენი ხელისუფლების დროსაც ასე იყო, ეშინოდა ბიზნესს ოპოზიციის დაფინანსების.

– კი მაგრამ, მას შემდეგ 5 წელი გავიდა. ქვეყანა წინ მიდის, ვითარდება და თუ კარგი ხელისუფლება ხარ, წინას შეცდომა კი არ უნდა გაიმეორო და გააღრმავო, არამედ უნდა გამოასწორო! წინა ხელისუფლების დროს ოპოზიცია უფრო მდიდარი იყო. ისიც კარგად გვახსოვს, კოალიციაში შემავალ პარტიებს როგორ დაურიგა ივანიშვილმა თითო მილიონი დოლარი.

– ამით რისი თქმა გსურთ?

– ეს მოხდა არჩევნებამდე და ჩვენ დროს ეს არ იყო აკრძალული. ისიც გვახსოვს, როგორ ყიდულობდა ივანიშვილი თეფშებს სიგნალების გადასაცემად. დღეს ორიოდე ტელევიზიაღა შემორჩა თავისუფალი და აქედან ვიცით, რუსთავი 2 რა მდგომარეობაშია. მთელი მისი ქონება დაყადაღებულია. ასე რომ, საარჩევნო გარემო ახლა გაცილებით უარესია, ვიდრე ჩვენ დროს იყო! მაშინ ოპოზიცია ივანიშვილის ფულით აკეთებდა ყველაფერს. ნახევარი მილიონი კაცი ჩამოიყვანეს თბილისში და ამას სჭირდება ფული. მანქანების დაქირავება, საწვავი და ასე შემდეგ.

– თქვენც ჩაატარეთ აქცია და რაიონებიდან ჩამოიყვანეთ ხალხი. ითქვა, რომ დიდი ფული დახარჯეთ, დაურიგეთ მონაწილეებს. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ეს აქცია სააკაშვილმა დააფინანსა. ასეა?

– რა სისულელეა. აქციის დაფინანსება ნიშნავს, რომ იქირაო მიკროავტობუსი და ჩამოიყვანო ხალხი. იმდენად ბევრი მსურველია საქართველოში ჩვენს აქციებში მონაწილეობის, რომ 100 ათასი კაცის ჩამოყვანაც კი არ იქნებოდა არავითარი პრობლემა, რომ გვქონოდა მანქანების გადასახდელი ფული. ხალხი ისეთი გამწარებულია, 100 კი არა, 200 ათასი კაცი ჩამოვა რაიონებიდან, მაგრამ ამას ფინანსური რესურსი სჭირდება. ამ ეტაპზე ჩვენთვის არ არის მთავარი მასობრივი აქციების მოწყობა.

– როდის იქნება მთავარი?

– არჩევნებს რომ გააყალბებენ. თუმცა უკვე გააყალბეს. როგორ არასამართლიან გარემოში მიმდინარეობს, როგორი ზეწოლაა ადამიანებზე და ეს გაყალბების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. უშუალოდ არჩევნების დღეს თუკი უხეში გაყალბება იქნება, მაშინ...

– მაშინ რას აპირებთ?

– მაშინ ჩვენ გავცემთ საკადრის პასუხს. ფეხით ჩამოვა ხალხი. ჩვენ გავაფრთხილეთ ხელისუფლება, რომ არაფერი მიქაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვალთ ქუჩაში. არაადამიანურ ქმედებებს ჩადის „ოცნება“, ყველაზე დაუცველებს, ბაღის მასწავლებლებს ემუქრებიან სამსახურიდან გაგდებით, თუკი ამომრჩევლის მობილიზებას არ მოახდენენ. ეს ხომ სამარცხვინოა! ვინ დაიჯერებს მათგან, რომ ეს ადმინისტრაციული რესურსი ბოლომდე არ არის გამოყენებული.

მირიან მირიანაშვილი: „რევოლუციის მოწყობა ჩაიშალა ორ ქვეყანაში“

რა გეგმები აქვთ რუსეთის სპეცსამსახურებს უკრაინასა და საქართველოში

მარიამ მჭედლიშვილი

უკრაინაში მიმდინარე მოვლენებსა და მათ კავშირზე საქართველოსთან „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, საქართველოს გადარჩენის მოძრაობის თავმჯდომარე მირიან მირიანაშვილს.

მირიან მირიანაშვილი:

– უკრაინაში საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ორგანიზებით გრძელდება საპროტესტო აქციები. დაახლოებით ერთი თვეა, რაც მიხეილ სააკაშვილი მთელ უკრაინას უვლიდა და გულმოდგინედ ემზადებოდა კიევის აქციებისათვის.

– მან საპროტესტო ტალღის აგორება მოახერხა.

– აქციები კიევში გრძელდება, თუმცა თავდაპირველი გეგმა ჩავარდა. დაგეგმილი იყო 50.000 კაცის შეკრება. ამის მაგივრად, შეკრიბეს დაახლოებით ათჯერ ნაკლები. უნდა მომხდარიყო პარლამენტის, ანუ რადას შტურმი. ეს იქნებოდა საქართველოში 2003 წელს განვითარებული მოვლენების გამეორება. თანაც, არა მარტო უკრაინაში, არამედ, საქართველოშიც. უკრაინაში ამ მიტინგამდე დააკავეს და იზოლაციაში მოაქციეს 11 კაცი, რომელთაც ბრალად ედებათ ინტერნეტის მეშვეობით ხალხის დაქირავება. ამ ხალხს 50.000-იანი მასშტაბური მიტინგის რიგები უნდა შეევსო. ნიშანდობლივია, რომ უკრაინაში აშშ-ის ელჩთან საუბრის შემდეგ ამ აქციაპროვოკაციის ორგანიზებაში მონაწილეობაზე უარი თქვეს ოპოზიციურმა ლიდერებმა.

– იულია ტიმოშენკოს პარტია და სხვები მასში ჩართული არიან.

– მთავარია, რომ ელჩის განმარტებების შემდეგ მათ უარი თქვეს პროვოკაციის ორგანიზებაზე. ყველა პოლიტიკური ძალა ერთბაშად და მთლიანად ვერ გაემიჯნებოდა ამ პროცესს. ამერიკის ელჩმა განაცხადა, რომ ეს პროტესტი არ ემსახურება ამერიკის ინტერესებს.

– ვინ დგას ამ პროვოკაციის უკან?

– რუსეთის სპეცსამსახურები. მათი მიზანია, სააკაშვილის საშუალებით გამოიწვიონ დასავლეთი პოლიტიკური ელიტის, სპეცსამსახურების ინტერესი და რამენაირად ჩაითრიონ რევოლუციებში უკრაინასა და საქართველოში.

– რუსეთს აქედან სარგებლის ნახვა უნდა?

– აშშ და მთლიანობაში დასავლეთი აპირებს მოსთხოვოს რუსეთს პასუხი აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევასა და სხვა მოქმედებების გამო. რუსეთს ურჩევნია, თავად იყოს პროცესების ინიციატორი და ჩააბას დასავლეთი დიდ პროვოკაციასა და ავანტიურაში. უკრაინასა და საქართველოში ჩაფიქრებულია გამოსვლების პროვოცირება, თითქოსდა პუტინის ტირანიის, პოროშენკოსა და ივანიშვილის წინააღმდეგ და უკრაინის დემოკრატიზაციის მიზნით. სინამდვილეში, ამ ამღვრეულ წყალში თევზს დაიჭერს რუსეთი. სააკაშვილი და მის ზურგს უკან მდგომი მოსკოვი არწმუნებენ დასავლეთს, რომ ახალ რევოლუციებს ამ ორ ქვეყანაში მოჰყვება პუტინის საწინააღმდეგო მოქმედებები რუსეთში.

– ჯერჯერობით, რევოლუციებს ვერ აწყობენ?

– ამ ეტაპზე ამ ორ ქვეყანაში რევოლუციების მოწყობა ჩაიშალა, თუმცა, რუსეთს თავის გეგმაზე ხელი არ აუღია. ეს პროვოკაციული გეგმა თავად პუტინის მიერაა ვიზირებული.

– საქართველო საფრთხის წინაშე დგას?

– ბუნებრივია, ეს საფრთხე, რომელსაც სააკაშვილის საშუალებით რუსეთი ქმნის, კარგა ხანს იარსებებს. იქნება ბატალიები და პროვოკაციები. ამიტომ, აუცილებელია კონტროლი სააკაშვილის გარემოცვაზე საქართველოში და მის ნაციონალურ მოძრაობაზე. სააკაშვილს შეიძლება მოკავშირედ დაუდგეს ნებისმიერი, ვისაც საქართველოს დასუსტება უნდა. ეს ყველაფერი გარკვეულად მიბმულია ადგილობრივ არჩევნებთან, რომელიც 21 ოქტომბერს იმართება.

– ამ პროვოკაციებს ადგილობრივი არჩევნები როგორ უკავშირდება?

– ამ არჩევნების მთავარი თემა დედაქალაქის მერის არჩევაა. მთავარი ინტრიგა იმაშია, მაღალი ლეგიტიმაციის მერი ეყოლება თბილისს თუ დაბალი.

– ანუ, კალაძე პირველივე ტურში გაიმარჯვებს თუ მეორე ტურიც დასჭირდება?

– კალაძე რომ იმარჯვებს, ეს უდავოა. მალე

თბილისის მერი გახდება ყველაზე მაღალი არჩევითი თანამდებობა. საქართველოს სიძლიერისთვის უკეთესი იქნება, თუ თბილისს მაღალი ლეგიტიმაციის მერი ეყოლება. ასეთ მერს თავის ნებაზე ვერ ათამაშებენ ვერც ადგილობრივი ოლიგარქები და ვერც გარე ძალები.

საარჩევნო სუბიექტებიდან ყველაზე მეტი ხარჯი „ქართულმა ოცნებამ“, „ევროპულმა საქართველომ“ და „პატრიოტთა ალიანსმა“ გასწიეს

– არჩევნების დანიშვნის დღიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით, ექვსკვირიან პერიოდში საარჩევნო სუბიექტებიდან ყველაზე მეტი ხარჯი „ქართულმა ოცნებამ“, „ევროპულმა საქართველომ“ და „პატრიოტთა ალიანსმა“ გასწიეს.

ამის შესახებ ნათქვამია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შუალედურ ანგარიშში, რომელიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურმა გამოაქვეყნა.როგორც შუალედურ ანგარიშშია ნათქვამი, მიღებული ანგარიშებისა და დეკლარაციების ანალიზის შედეგად, არჩევნების დანიშვნის დღიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით, 6-კვირიან პერიოდში საარჩევნო სუბიექტების მიერ ჯამურად განხორციელებულია 8,835,900.00 ლარის ხარჯი, კერძოდ, „ქართული ოცნება“ – 6,983,756 ლარი, „ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“ – 646,775 ლარი, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ – 507,730 ლარი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 202,811 ლარი, „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ – 75,892 ლარი, „სამოქალაქო პლატფორმა – ახალი საქართველო“ – 66,084 ლარი.

აქედან რეკლამისთვის გახარჯულია 5,805,562.00 ლარი, კერძოდ, „ქართული ოცნება“ – 4,939,306 ლარი, „ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“ – 396,347 ლარი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 345,862 ლარი, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ – 285,250 ლარი, „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ – 95,300 ლარი, „სამოქალაქო პლატფორმა – ახალი საქართველო“ – 28,747 ლარი.

შუალედური ანგარიშის თანახმად, ჯამში მიღებულია 742,787.00 ლარის საბიუჯეტო შემოსავალი, კერძოდ, „ქართული ოცნება“ – 173,420 ლარი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 135,036 ლარი, „ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“ – 78,844 ლარი, „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ – 20,135 ლარი, „სამოქალაქო პლატფორმა – ახალი საქართველო“, – 16,293 ლარი.

ცესკოში პოზიტიური ცვლილებები მოხდა მხოლოდ ერთ ადამიანზე — თამარ ჟვანიაზე დაყრდნობით!



ინტერვიუ ფსიქოლოგ რამაზ საყვარელიძესთან

– ცნობილია, რომ 2 ოქტომბერს ვაშინგტონში, ცესკოს თავმჯდომარეს თამარ ჟვანიას გადაეცა საარჩევნო პროცესების განვითარების ხელშეწყობისთვის ჯოსი ბაქსტერის ჯილდო. თქვენი აზრით, რითი დაიმსახურა თამარ ჟვანიამ ჯილდო, რომელიც დემოკრატიის უზრუნველყოფის „ოსკარად“ არის ცნობილი მსოფლიოში?

– თამარ ჟვანიამ უმძიმესი მემკვიდრეობა მიიღო, როგორც საარჩევნო კომისიის შემადგენლობის, ასევე მის მიმართ საზოგადოების უნდობლობის თვალსაზრისით. მას მერე სამი ურთულესი არჩევნები ჩაატარა ჟვანიამ ისე, რომ არც საზოგადოებაში გაჩენილა კომისიის მიმართ ეჭვი, არც უცხოელ დამკვირვებლებს გამოუთქვამთ შენიშვნები. ეს პოზიტიური ცვლილებები მოხდა მხოლოდ ერთ ადამიანზე, თამარ ჟვანიაზე დაყრდნობით. მის მიერ გატარებულმა რეფორმებმა და კარგად გააზრებულმა პიარ კამპანიამ მოიტანა ეს შედეგი. დამსახურებული, მისალოცი და საამაყოა ხსენებული ჯილდო როგორც ქალბატონი თამარისთვის, ასევე, მთელი ქვეყნისათვის.

– რა გამოარჩევს წლევანდელ საარჩევნო კამპანიას სხვა წლებში ჩატარებული კამპანიებისაგან, ვგულისხმობ პოლიტიკური პარტიების დღის წესრიგს, ადეკვატურობას მოსახლეობაში არსებულ მოთხოვნებთან და პრობლემებთან მიმართებაში?

– გამოარჩევს მაქსიმალური არაადეკვატურობა და ადგილობრივი არჩევნების გადაქცევა სახელისუფლო არჩევნებად, რაც საპარლამენტო არჩევნების ფუნქციაა. ეს შეფასება, რა თქმა უნდა, ეხება ოპოზიციურ პარტიებს, ისინი იბრძვიან ხელისუფლებისთვის და სურთ თბილისი ამის ბერკეტად აქციონ.

– თქვენი აზრით, რაში მდგომარეობს მთავარი ინტრიგა თბილისში მიმდინარე მერის საარჩევნო კამპანიასთან მიმართებაში?

– მთავარი ინტრიგაა მეორე ტური და ადგილი – თუ მეორე ტური შედგა და მეორე ადგილზე ნაციონალების კანდიდატი ვერ გავიდა, მთელი ოპოზიციური და ნეიტრალური ხმები გადავა მეორე კანდიდატის მხარეს და მას გამარჯვების რეალური შანსი ექნება. თუ მეორე ტურში ნაციონალების კანდიდატი გავიდა, თბილისი მას ხმას არ მისცემს.

– ფიქრობთ თუ არა, რომ ცესკოს და პერსონალურად ადმინისტრაციის თავმჯდომარის ასეთი მაღალი შეფასება და საერთაშორისო აღიარება, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს არჩევნების ჩატარებას მშვიდ და დემოკრატიულ გარემოში?

– დროული, ძალზე დროული ჯილდოა, რადგან იგი საარჩევნო კომისიის მიმართ ნდობას ზრდის. ამ ჰიპერპოლიტიზირებულ ადგილობრივ არჩევნებში საარჩევნო კომისიის ავტორიტეტი უაღრესად საჭირო იქნება.

– არსებობს თუ არა საფრთხე, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს საარჩევნო პროცესის დისკრედიტაცია და შესაბამისად ქვეყნის პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაცია?

– ნებისმიერი ორგანოს დისკრედიტაციის და ქვეყნის დესტაბილიზაციის საფრთხე ყოველთვის არსებობს, მაგრამ ამჟამად ეს საფრთხე ყველაზე მცირე მეჩვენება, ვიდრე ოდესმე. ოპოზიციური პარტიების ის ნაწილი, რომელიც დისკრედიტაციის და დესტაბილიზაციის იარაღის გამოყენებაზე უარს არ იტყვის, იმდენად არაპოპულარულია, რომ მისი მცდელობები სერიოზულ პრობლემებს ვერ შექმნის ქვეყნის მასშტაბით.

– თქვენი აზრით, რითი შეიძლება ავხსნათ, უჩვეულო პასიურობა, რომელსაც ავლენდა ბიძინა ივანიშვილი ამ საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას?

– 2012 წლის შემდეგ ივანიშვილი სულ მიისწრაფოდა ამ მდგომარეობისკენ და პასიურობის უფლებას ვერ აძლევდა საკუთარ თავს, რადგან ფეხზე ჰყავდა დასაყენებელი თავისი გუნდი. როგორც ჩანს, იგი თვლის, რომ მისი გუნდი უკვე შეძლებს გამარჯვებას მისი დახმარების გარეშე და ამიტომ არც ჩანს.

– 21 ოქტომბრის ადგილობრივი არჩევნების შედეგები რა გავლენას იქონიებს 2018 წლის საპრეზიდენტო კამპანიაზე?

– ამ არჩევნებში გამარჯვებული მხარე საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი კანდიდატურის გამარჯვებას მნიშვნელოვნად წაადგება. ადგილობრივი ხელისუფლება დიდ გავლენას ახდენს ყველა დონის არჩევნებზე.

– გთხოვთ მოახდინოთ თქვენი პროგნოზი, მერობის კანდიდატების რა მონაცემებს გამოაქვეყნებს ცესკო 21 ოქტომბრის არჩევნების შედეგად?

– მე მგონია, რომ არჩევნები პირველივე ტურში დასრულდება კალაძის გამარჯვებით.

IDMC შუალედურ ანგარიშს აქვეყნებს

ინსტიტუციური განვითარების და მონიტორინგის ცენტრის 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების მონიტორინგის შუალედური ანგარიში მოიცავს 24 აგვისტოდან – 10 ოქტომბერის პერიოდს.

ანგარიშში ასახულია: სადამკვირვებლო მისიის მეთოდოლოგია და მასშტაბი, არჩევნების სამართლებრივი ჩარჩო, არჩევნების ორგანიზაციული ასპექტები, პოლიტიკური პარტიების დაფინანსება, უწყებათაშორისი კომისიის მუშაობა, ცენტრის მიერ განხორციელებული ღონისძიებები და ძირითადი მიგნებები, მონიტორიგის დროს გამოკვეთილი გადაცდომები და ხარვეზები და რეკომენდაციები, როგორც საარჩევნო ადმინისტრაციისთვის, ხელისუფლების ორგანოებისათვის ასევე, პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატებისათვს.

ინსტიტუციური განვითარების და მონიტორინგის ცენტრის თავმჯდომარის მიხეილ ჭიღლაძის თქმით, მოცემულ ანგარიშში ყურადღება გამახვილდა წინასაარჩევნო პერიოდში განვითარებულ იმ მოვლენებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია წინასაარჩევნო გარემოს სრულყოფილად წარმოსაჩენად.

„საარჩევნო პროცესების ობიექტურად და გამჭვირვალედ წარმართვის მიზნით, წარმოვადგინეთ რეკომენდაციები საარჩევნო ადმინისტრაციისთვის, ხელისუფლების ორგანოებისათვის, პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატებისათვის. დაკვირვების შედეგად, გამოიკვეთა, რომ წინასაარჩევნო პერიოდი მიმდინარებს წყნარ, მშვიდ და გამჭირვალე გარემოში, ძირითადად საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დაცვით, თუმცა შეინიშნება გარკვეული სახის გადაცდომები და დარღვევები. ინსტიტუციური განვითარების და მონიტორინგის ცენტრი იმედს გამოთქვამს, რომ არჩევნები ჩაივლის მშვიდ და გამჭვირვალე გარემოში,

შეგახსენებთ, რომ ინსტიტუციური განვითარების და მონიტორინგის ცენტრი არჩევნების დაკვირვებას იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის და ვაკის საარჩევნო ოლქებში 18 გრძელვადიანი დამკვირვებლების მეშვეობით ახორციელებს.

აქტიურად აგრძელებს სადამკვირვებლო მისიის განხორციელებას და პერიოდულად წარმოადგენს შესაბამის ინფორმაციას მიმდინარე საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით“

შუალედური ანგარიშის სრული ვერსია იხილეთ ლინკზე:
https://m.facebook.com/
story.php?story_fbid=1747144165581642&id=1661140890848637

დავით ზარდიაშვილი: „მიწაზე სათემო საკუთრება უნდა აღდგეს“

მანანა იაშვილი

საკონსტიტუციო ცვლილებებზე, მიწის საკუთრებასა და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ დავით ზარდიაშვილს ესაუბრა.

– ჩვენმა კონსტიტუციამ ჯერ კიდევ სააკაშვილის ცვლილებების გამო დაკარგა ის პატივისცემა, რაც ქვეყნის უზენაეს კანონს უნდა ჰქონდეს. ახლა ეს აგორებული დაპირისპირება კიდევ უფრო აზარალებს საქმეს, რა ვქნათ?

– ყველაზე უკეთ ეგ თემა თავად ირაკლი კობახიძეს შეუძლია გააშუქოს. მე მხოლოდ თვითმმართველობის ნაწილის ან მიწის შესახებ თუ ვიტყვი რამეს. თვითმმართველობის ნაწილზე კი ერთი წინადადებით ასე ვიტყოდი: ახალი კონსტიტუციის ეს ნაწილი ერთ-ერთი საუკეთესოა მთლიანად ევროპაში, მაშასადამე, მსოფლიოშიც.

– ეს კითხვა შემდეგ, ახლა პირველი კითხვის პასუხი მაინტერესებს, თქვენ ხომ ეროვნული მოძრაობიდან მოდიხართ და ამდენი წელი ქართულ კანონშემოქმედებას კარგად იცნობთ..

– ახალი კონსტიტუციის მაგინებლების ხმაურმა არავინ უნდა დააბნიოს. სწორედ მათზე ამბობდა დიდი ილია: „არას თქმა უარისმყოფლობაა. ჩვენებურად რომ ვთქვათ, ქართულად -„ჰაშას“ კვრაა და მეტი არც არაფერი... მაგინებლების „ჰაშას კვრა“ არც არაფერს ნიშნავს, რადგან ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდის.

– სად მიდის?

– ძალიან სამწუხარო და დასანანია, რომ ახალ კონსტიტუციას უარისმყოფლები და მაგინებლები არ აკლია; თუმცა, ისინი, მიუხედავად მათი კატეგორიული ტონისა და თავგამოდებული მცდელობისა, რომ ყალბი სურათი შექმნან, ქართველი ხალხის უმრავლესობას ნამდვილად არ წარმოადგენენ! ფაქტობრივადაც და იურიდიულადაც ქართველი ხალხის ნებას დღეს პარლამენტის საკონსტიტუციო უმრავლესობა გამოხატავს! ვინც ამას ეჭვს ქვეშ აყენებს, მასთან კონსტიტუციის ავკარგიანობაზე დავა იმთავითვე წყლის ნაყვაა! მიუხედავად ახალი კონსტიტუციის მაგინებლების დაჟინებისა, რომ საარჩევნო სისტემაზე პარტიები ვერ შეთანხმდნენ, თავისთავად არ ნიშნავს, რომ თუნდაც კონსტიტუციით შემოთავაზებული საარჩევნო სისტემა და მით უმეტეს – მთლიანად კონსტიტუციაა უვარგისი; მეტიც – 2020 წელს შერეული საარჩევნო სისტემის ერთჯერადად დატოვებას მხოლოდ პოლიტიკური კონიუნქტურის ასპექტი აქვს და კონსტიტუციის სამართლებრივ შეფასებაზე არ შეიძლება არსებით გავლენას ახდენდეს, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ თავისთავად შერეული საარჩევნო სისტემა არც უსამართლოა და არც უჩვეულო თანამედროვე დემოკრატიებისათვის; რასაკვირველია, საარჩევნო სისტემა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ საკითხის ისე წარმოჩენა, როგორც ამას ახალი კონსტიტუციის მაგინებლები ჩადიან – თითქოს კონსტიტუციაში საარჩევნო სისტემაა მთავარი და დანარჩენი ყველაფერი წყალსაც წაუღია, ერთადერთ რამეზე მეტყველებს: ვინც ამას ამტკიცებს, ისე ერკვევა კონსტიტუციაში, როგორც ცხვარი – აფთიაქში, ანდაც, თუკი ასე არ არის და ელემენტარულ დონეზე მაინც ერკვევა, შეგნებულად ცრუობს, მას სხვა რამ აინტერესებს და არა თავად კონსტიტუცია!

– პოლიტიკურ ძალებს შორის დაპირისპირება ასევე ეხებოდა 7 თვითმმართველი ქალაქის გაუქმების საკითხს, ეს გაუქმება რამდენად წაადგება თქვენგან მოწონებულ დეცენტრალიზაციას?

– თავის დროზე დიდი სისულელე იყო ამ ქალაქების ცალკე გამოყოფა; ამიტომ ის მდგომარეობა, რაც 2014 წლამდე არსებობდა, დეცენტრალიზაციის სასტარტო პირობაა. გაუქმება პროცესს წაადგება, თუკი რეფორმა სწორედ დაინახეს.

– რას გულისხმობთ?

– 2012 წელს ახალმა ხელისუფლებამ გამოაცხადა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა. ამ ცვლილებათა მიუხედავად, თვითმმართველი ერთეულებისათვის არ გადაუციათ რაიმე მნიშვნელოვანი უფლებამოსილება, ფინანსები და ქონება. მხოლოდ 7 ქალაქის ხელოვნურად გამოყოფა მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან, მერის და გამგებლის არჩევითობა, საკმარისი არ აღმოჩნდა დეცენტრალიზაციისთვის.

– რა არის საჭირო ნორმალური ევროპული თვითმმართველობის შესაქმნელად?

– შექმნა კი არა, საწყისთან დაბრუნებაა საჭირო. ჩვენ ევროპული ყაიდის ხალხი იმიტომ ვართ, რომ თემის, მიწის საკითხები უხსოვარი დროიდან გვქონდა გადაწყვეტილი. თუნდაც ვახტანგ VI-ის სამართალშიც სათემო საკუთრება შეუვალი იყო. ბატონს ჰქონდა თავისი საკუთრება, გლეხს ან ჰქონდა ან არა, მაგრამ სათემო საკუთრება სათიბ-საძოვარი, ტყე, წყალი – თემს ეკუთვნოდა; სათემო საკუთრებაში წილი ყველას ედო, გარდა ხიზნებისა. ხიზანს შეეძლო მიწა ეყიდა ან ეს მიწა ბატონს ეჩუქებინა, მაგრამ სათემო საკუთრებაში წილი არ ჰქონდა. ხიზანს თემი უწყვეტდა, იქნებოდა თუ არა ის სოფლის სრულუფლებიანი წევრი. ასეა ევროპაშიც, გერმანიაში მიწის ყიდვის უფლება ფორმალურად ყველას აქვს, მაგრამ ვერ იყიდი, თუ თემი წინააღმდეგია.

– ჩვენთან რა უშლის ხელს ამგვარი ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბებას და განვითარებას?

– საბჭოთა კავშირის რღვევის შედეგად, საქართველომ მემკვიდრეობით მიიღო არა მხოლოდ ცენტრალური, არამედ ცენტრალიზებული სახელისუფლებო სისტემაც, რომელმაც ჩამოიცილა კომუნისტური იდეოლოგია, მაგრამ წარმატებით შეინარჩუნა ადმინისტრაციული ვერტიკალი. ასეთი სისტემისათვის უცხოა ძალაუფლების დაყოფისა და განაწილების პრინციპი. შესაბამისად, შინაგანი ბუნებით იგი ვერ ეგუება სახელმწიფოს ქვემოდან ზემოთ შენების გამოცდილებას, ძლიერ ადგილობრივ თვითმმართველობასა და ტერიტორიული მართვის მოდელს. ამიტომ თანამედროვე ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა საერთაშორისო ზეწოლის შედეგი უფრო გახლავთ, ვიდრე ქართული სახელმწიფოს განვითარების პროდუქტი. კომუნისტების გადამკიდე ჩვენ ხიზნები ვიყავით და გარკვეულწილად დღემდე ხიზნებად დავრჩით.

– მიწაზე ხომ მივიღეთ კანონი?

– მიწის კანონი არ არსებობს, ჩვენ გვაქვს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“. სტატისტიკით საქართველოში 3 მილიონი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწაა. აქედან დარეგისტრირებულია მხოლოდ 1 მილიონამდე. დანარჩენი დაურეგისტრირებელი 2 მილიონი ჰექტარი სახელმწიფო საკუთრებად ითვლება და სრულიად უპატრონოდ არის დაგდებული. სახელმწიფოს ეს მიწები მაშინ ახსენდება, როდესაც უნდა ტენდერზე გაიტანოს და გაყიდოს. ამბად მითხრეს, გორის მერს 200 კვ.მ. დაურეგისტრირებელი მიწა უნახავს გორში და მერიამ სკვერის გაკეთება გადაწყვიტა. რეგისტრაციისთვის აზომვითი ნახაზი გააკეთეს და ეკონომიკის სამინისტროს გაუგზავნეს თხოვნა ნახაზთან ერთად. სანამ პასუხს მისცემდნენ, ეკონომიკის სამინისტრომ, აუზომიათ კიდეცო და ეს 200 კვ.მ. ტენდერზე გაიტანა და გაყიდა. რა თვითმმართველობაზე შეიძლება იყოს აქ ლაპარაკი.

– დაურეგისტრირებელი მიწები ისევ სახელმწიფოს ეკუთვნის, ეკონომიკის სამინისტროს რად უნდა მიწა?

– სახელმწიფოს მიწა სჭირდება უსაფრთხოებისთვის, საერთაშორისო მეგა-პროექტებისთვის და საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისთვის. სხვა არაფერში სჭირდება. ჩვენთან საკუთრების ფორმები დარღვეულია. მიწას პატრონი უნდა გამოუჩნდეს, კაპიტალიზაცია უნდა მოხდეს. ეს პრობლემა პირდაპირ უკავშირდება თვითმმართველობას, რომლის მთავარი რესურსი მიწაა. რა თვითმმართველობა გექნება, თუ მიწა არ გაქვს, ფული არ გაქვს, რესურსი არ გაქვს და მიწაზე უფლებამოსილება არ გაქვს. ამიტომ ვამბობ, რომ სათემო საკუთრება უნდა აღდგეს. სოფელს უნდა ჰქონდეს საერთო სათემო საკუთრებაში საძოვარი და სათიბი, ტყე და წყალი. ახლა იძახიან, სოფელი გაყიდისო; ათასწლეულები არ გაუყიდია და ახლა რატომ გაყიდის? თუ გაყიდის, მაშინ უნდა აიყაროს და გადასახლდეს.

– სოფლებში ხომ ყიდიან ყველაფერს, მიწაც კი მოჭრეს და გაყიდეს, რატომ არ გაყიდიან?

– დიახ, ჩვენი სოფლის მოსახლეობა ცუდ დღეშია და მართლაც ყიდის ყველაფერს და ვერც გაამტყუნებ. მაგრამ თემი თუ აღდგება, საერთო საკუთრება თუ ექნებათ, რომელსაც საჭიროებისამებრ განკარგავენ, მაშინ იმ ინვესტორს სოფლის საჭიროებისთვის ჩაადებინებენ ინვესტიციას და მეტ სარგებელს ნახავენ. რაც მთავარია, იქვე დარჩებიან.

– სამწუხაროა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 26 წლის თავზე, ისევ გადაუწყვეტელია ამგვარი ძირეული პრობლემები. თავიდანვე რატომ იღებდნენ თვითმმართველობის ამგვარ ნაკლოვან კანონებს, რატომ გაიწელა დროში დეცენტრალიზაცია?

– შეიძლება უცოდინრობის გამო, შეიძლება საბჭოთა წარსულიდან გამოყოლილი მახინჯი ტრადიციის გაგრძელებით. პირველად 1997 წელს შეიქმნა „მუნიციპალური განვითარების სახელმწიფო პროგრამა“, რომელმაც დეცენტრალიზაციის პირველი ეტაპი გამოაცხადა. ეს გამოიხატა საკრებულოების არჩევნებით რაიონებში, ქალაქებსა და სოფლებში, რაც საქართველოს ევროპის საბჭოში მიღების წინაპირობა გახდა. 2001 წელს 40-ზე მეტ ქალაქში მოსახლეობამ პირდაპირი კენჭისყრით აირჩია მერი და გამგებელი, მაგრამ რაიონულ დონეზე პირდაპირი წესით არჩეული საკრებულო შეიცვალა ასოცირებული წესით დაკომპლექტებული საკრებულოთი, შეიზღუდა მისი უფლებამოსილებები და გაძლიერდა ადმინისტრაციული ვერტიკალი, რაც ევროპის საბჭოს მკაცრი კრიტიკის საგნად იქცა. 1997 წლიდან აღნიშნული თვითმმართველობის უფლებამოსილებანი არასდროს ყოფილა სრული და ექსკლუზიური. 2006 წლამდე ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებათა უფლებამოსილებები ძალზე ბუნდოვნად იყო გამიჯნული.

– საკაკაშვილის დროინდელი კანონმდებლობა უკეთესი იყო?

– არა, უფრო ცენტრალიზებული. 2005 წელს სახელმწიფო კომისიამ წარმოადგინა ახალი სტრატეგია, რომლის შესაბამისად მიღებულია ახალი ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, ასევე, კანონები ადგილობრივი ბიუჯეტის, ქონების და სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ. ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის მოტივით, გაუქმდა ადგილობრივი სახელმწიფო მმართველობა რაიონულ დონეზე და მათ ნაცვლად ჩამოყალიბდა თვითმმართველობები. მაგრამ 2006 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, სამინისტროების მოთხოვნით, ათეულობით ცვლილება შევიდა ორგანულ კანონში ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ და საშემოსავლო და მოგების გადასახადი სრულად წარიმართა ცენტრალურ ბიუჯეტში, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობა.

2010 წელს თბილისის მერის პირდაპირი არჩევის და კონსტიტუციაში ადგილობრივ თვითმმართველობაზე სპეციალური თავის შეტანის პარალელურად, მოხდა ისეთი უფლებამოსილებების ცენტრალიზაცია, როგორებიცაა სასმელი წყლის მიწოდებისა და კანალიზაციის სისტემის მართვა, ასევე მყარი ნარჩენების გადამუშავება, რამაც კიდევ უფრო დაასუსტა ადგილობრივი ხელისუფლება. 2010 წლიდან თვითმმართველობის უმაღლეს თანამდებობის პირად საკრებულოს თავმჯდომარე განისაზღვრა (გარდა თბილისისა), კანონმა საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დანიშნულ გამგებელს ბევრი ისეთი პოლიტიკური უფლებამოსილება მიანიჭა, რომლებიც დანიშნული მოხელისათვის შეუსაბამო იყო, გაართულა გამგებლის/მერის ანგარიშვალდებულების შენარჩუნება საკრებულოს წინაშე და კონფლიქტი წარმოშვა. ევროპის საბჭოს ექსპერტებმა ამ მოდელს სამართლიანად უწოდეს „ორი ნიანგი ერთ აუზში“.

– ახლანდელი ხელისუფლების დროს რა შეიცვალა?

– მიუხედავად იმისა, რომ 2014 წელს კოდექსში შევიდა მოქალაქეთა დამატებითი ინსტიტუციური მექანიზმები, სოფლის კრება და მრჩეველთა საბჭო, ისინი მხოლოდ ფორმალურად არსებობს. მოსახლეობის ინერტულობა კიდევ უფრო გაიზარდა ე.წ. „სოფლის დახმარების პროგრამის“ შეჩერების შემდეგ. მოქალაქეებმა ვერ აღიარეს ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც ადგილობრივი საქმეების მათ მიერვე მოგვარების ინსტრუმენტი. 2014 წლის თვითმმართველობის კოდექსმა, მიუხედავად იმისა, რომ მისი მიზანი ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო ბაზის სისტემატიზაცია იყო, ვერ მოახერხა ამ ამოცანის გადაჭრა და დღესაც შეუსრულებელია შესაბამისი ევროპული ქარტიის მოთხოვნა თვითმმართველობის უფლებამოსილებათა სისრულის და ექსკლუზიურობის თაობაზე. ასევე პრობლემურია თვითმმართველობის მიერ ისეთი საბაზისო მმართველობითი ფუნქციების შესრულება, როგორიცაა შესყიდვები და გადახდები. ძალზე ხშირად ცენტრალიზებული შესყიდვების სისტემა ვერ უზრუნველყოფს სამუშაოთა დროულ და ხარისხიან წარმოებას.

– ისევ წრეზე ვტრიალებთ? ცენტრალური ხელისუფლება არ თმობს, ადგილობრივები მორჩილ მდუმარეებაში არიან ან გარბიან ქალაქში ან საზღვარგარეთ?

– არა, ასე ცუდადაც არ არის საქმე. ცენტრალური ხელისუფლება გვპირდება და მე დიდი იმედი მაქვს ამ დაპირებისა, რომ წლის ბოლომდე იქნება მიღებული ქვეყნის მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის სტრატეგია, რომელიც 10-15 წლის განმავლობაში განსაზღვრავს ამ მიმართულებით განსახორციელებელ ფუნდამენტური ხასიათის ცვლილებებს. ეს ცვლილებები რომ აუცილებლად განხორციელდება, ახალი კონსტიტუციით არის მყარად გარანტირებული: მასში, კონსტიტუციის დღევანდელი რედაქციისგან განსხვავებით, მკაფიოდ არის მოცემული ადგილობრივი თვითმმართველობის ორი ყველაზე ფუნდამენტური პრინციპი – სუბსიადიარობა და ადგილობრივ უფლებამოსილებებთან თვითმმართველობის ხელთ არსებული რესურსების შესაბამისობის პრინციპი. ეს პრინციპები რომ რეალობად იქცეს, სწორედ ამიტომ არის საჭირო დეცენტრალიზაციის სტრატეგია. ამდენად, კონსტიტუციის მიღების შემდგომ აუცილებელია ამ კონსტიტუციური პრინციპების დასამკვიდრებლად სათანადო პოლიტიკის შექმნა, რისი იმედიც მაქვს.

– იმედიანად ხართ თუ ოცნებობთ?

– „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნულმა ასოციაციამ“ შექმნა გრძელვადიანი სტრატეგიული დოკუმენტი დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისათვის, რომელიც საჯაროდ არის გამოქვეყნებული. ამ დოკუმენტის მიხედვით დეცენტრალიზაციის პროცესი კომპლექსური ხასიათის ფუნდამენტური რეფორმების გატარებას გულისხმობს. ეს რეფორმებია: მიწის რეფორმა, კომუნალური რეფორმა, საშემოსავლო რეფორმა და ადმინისტრაციული რეფორმა. მიზანი გახლავთ 2030 წლისთვის, როცა შემდგარი იქნება საქართველო, როგორც საპარლამენტო რესპუბლიკა, საბოლოოდ ჩამოყალიბდეს ორდონიანი ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული სისტემა; სადაც ქვედა დონე იქნება სათემო თვითმმართველობა, (სოფელი, მცირე სოფელთა გაერთიანება, დაბა, ქალაქი ან მსხვილი ქალაქის უბანი) ზედა დონე – დღევანდელი მუნიციპალიტეტი.

რეფორმების შედეგად უზრუნველყოფილი იქნება სუბსიდიარობა – საკითხი, რომლის გადაწყვეტაც შესაძლებელი იქნება ადგილზე, იმისდა მიხედვით, არსებობს თუ არა შესაბამისი რესურსი, შესაძლებლად ყველაზე ქვედა დონეზე გადაწყდება; უზრუნველყოფილი იქნება, რომ კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებას შეესაბამებოდეს ადგილობრივი თვითმმართველობის რესურსები – ე.ი. თვითმმართველობას გააჩნდეს საკუთრება (უწინარესად, რასაკვირველია, მიწა და ასევე, სხვა ბუნებრივი რესურსებიც: ტყე, წყალი, ადგილობრივი მნიშვნელობის წიაღისეული, ქვიშის კარიერები და სხვ.) და სათანადო ფინანსები; ამისათვის საჭირო იქნება, რომ მიწის რეფორმით სახელმწიფო საკუთრებაში დღეს არსებული ყველა ის მიწა, რაც საჭირო არ არის ეროვნული უსაფრთხოების, რომელიმე კონკრეტული სახელმწიფო უფლებამოსილების, ან ეროვნული მნიშვნელობის ეკონომიკური პროექტების განსახორციელებლად, სრულად გადაეცეს ადგილობრივ საკუთრებაში მუნიციპალიტეტს; მუნიციპალური საკუთრების მიწა, თავის მხრივ მუდმივ და უსასყიდლო მფლობელობაში ადგილობრივ თემს გადაეცემა, რაც სწორედაც ტრადიციული სათემო საკუთრების აღდგენას მოასწავებს; ასევე, საშემოსავლო რეფორმის შედეგად ადგილობრივ ბიუჯეტებს სრულად უნდა გადაეცეთ საშემოსავლო გადასახადი, რაც მუნიციპალურ ბიუჯეტებს სულ ცოტა სამჯერ გაზრდის, სათემო ბიუჯეტები კი დღევანდელ მუნიციპალურ ბიუჯეტზე ნაკლები არ იქნება; ბუნებრივია, ეს რესურსები მთლიანად ადგილობრივი საზოგადოების კეთილდღეობას უნდა მოხმარდეს; ამისათვის კი აუცილებელი იქნება როგორც კომუნალური, ასევე ადმინისტრაციული რეფორმის გატარება;

გაგრძელება მე-11 გვერდზე

თბილისში ზებრაზე მიმავალ დედა-შვილს ავტომობილი დაეჯახა

თბილისში „ლექსუსის“ მარკის ავტომობილი ზებრა გადასასვლელზე მიმავალ დედა-შვილს დაეჯახა.

შემთხვევა ცოტა ხნის წინ, მოსკოვის გამზირზე მოხდა.

თვითმხილველთა თქმით, შემთხვევისას დედა შვილს გადაეფარა, რის გამოც დაზიანება მიიღო. ბავშვი უვნებლად გადარჩა, დედა კი მრავლობითი დაზიანებებით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ყვარელში 24 წლის ქალმა თავი ჩამოიხრჩო

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდაში 24 წლის ქალმა თავი ჩამოიხრჩო. შემთხვევა დღეს დილით მოხდა. გარდაცვლილი მეზობელმა ნახა და პოლიციას შეატყობინა. წინასწარი ინფორმაციით, თვითმკვლელობის მიზეზი ოჯახური კონფლიქტი გახდა.

ადგილობრივების თქმით, ქალს ოჯახის წევრებთან უთანხმოება ჰქონდა და არ გამოირიცხება, რომ სუიციდის მიზეზი სწორედ მათთან დაპირისპირება გამხდარიყო. შემთხვევის ადგილზე სამართალდამცველები იმყოფებიან.

შსს-ს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს და ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

ხანძარი ზესტაფონში — დაღუპულია ერთი პირი

ზესტაფონში, სოფელ კვალითში, ხანძარს მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა.

როგორც „ნიუპოსტს“ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში განუცხადეს, ადგილზე 2 სახანძრო-სამაშველო ჯგუფი მუშაობდა და ხანძრის ლიკვიდირებაც და ლოკალიზებაც ძალიან მალე მოხდა.

აფხაზეთში, მდინარე კელასურის სათავესთან მამაკაცის ცხედარი იპოვეს

16 ოქტომბერს, აფხაზეთში, მდინარე კელასურის სათავესთან უცნობი მამაკაცის ცხედარი იპოვეს. ამ დროისთვის მამაკაცის იდენტიფიკაციისთვის ცხედარს ექსპერტიზა უტარდება. აფხაზეთის დე ფაქტო პროკურატურის გამომძიებელი პროკურორის თქმით, გამოძიების ფარგლებში დამყარდა კავშირი 2017 წლის ზაფხულში აფხაზეთის მთებში დაკარგული რუსი ტურისტის ანდრეი ლიხაჩევის ოჯახთან, რადგან გამოძიება ვარაუდობს, რომ გარდაცვლილი მამაკაცი სწორედ ისაა.

60.000 აშშ დოლარის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე ბრალდებული სასამართლომ დამნაშავედ ცნო

60.000 აშშ დოლარის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე ბრალდებული სასამართლომ დამნაშავედ ცნო

– 60.000 აშშ დოლარის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე ბრალდებული სასამართლომ დამნაშავედ ცნო, – ამის შესახებ ინფორმაციას თბილისის საქალაქო სასამართლო ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, დიდი ოდენობით, თაღლითობასა და ყალბი დოკუმენტის შენახვისათვის ერთ-ერთი საადვოკატო ფირმის აღმასრულებელ დირექტორს ი.კ.-ს სასამართლომ სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

– საქმე ეხება, 2016 წელს, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის, თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის მშენებლობასთან დაკავშირებით გამოცხადებულ ორეტაპიან ტენდერს, რომელშიც ერთ-ერთმა თურქულმა კომპანიამ ვერ გადალახა ტენდერის პირველი ეტაპი და მიიღო დისკვალიფიკაცია. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულმა იცოდა, რომ დისკვალიფიცირებულ კომპანიას, ამავე ტენდერში გამარჯვების შანსი აღარ ჰქონდა, ბრალდებული თურქული კომპანიის დირექტორს ტენდერებში მონაწილეობისა და გამარჯვების გამოცდილების მქონე, კვალიფიციურ იურისტად გაეცნო და ტენდერის მოგებას დაჰპირდა. ზემოხსენებული მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების შესახებ. ბრალდებულმა განიზრახა, მოტყუებით დაუფლებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავანსის თანხას და ამ მიზნით, თურქული კომპანიის ტენდერში გამარჯვების თაობაზე, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დირექტორის სახელით დამზადებული ყალბი წერილის საფუძველზე, კომპანიისგან 25.000 აშშ დოლარი, ხოლო სამ დღეში მოტყუებით, დამატებით 35.000 აშშ დოლარი მიიღო.

ღია სასამართლო სხდომებზე ბრალდებულმა თავი არ ცნო დამნაშავედ.

სასამართლომ, მოწმეთა ჩვენებებისა და საქმეში წარმოდგენილი წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად, დადგენილად მიიჩნია ი. კ.-ს მხრიდან, დიდი ოდენობით, სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის შენახვის ფაქტი გამოყენების მიზნით. სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით, დანაშაულთა ერთობლიობითა და შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, ი.კ.-ს სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, – ნათქვამია საქალაქო სასამართლოს განცხადებაში.

ოთარ აბესაძეს ჰოსპიტალში გადაიყვანენ

ქრთამის აღების ბრალდებით დაკავებულ მერიის ყოფილ თანამშრომელთან, ოთარ აბესაძესთან ამ დრომდე ფსიქოლოგები მუშაობენ, სავარაუდოდ, 23 ოქტომბერს კი მას ჰოსპიტალში გადაიყვანენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ აბესაძის ადვოკატმა ირმა ჭკადუამ განუცხადა, საავადმყოფოში აბესაძეს საფუძვლიანი გამოკვლევები ჩაუტარდება. მისივე თქმით, ბრალდებულისთვის საფუძვლიანი გამოკვლევების ჩატარების მიზნით, მისი ჰოსპიტალში მოთავსება თავად სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტის მოთხოვნით მოხდება.

როგორც ადვოკატმა აღნიშნა, აბესაძეს არა მხოლოდ ფსიქოლოგიური მდგომარეობა შეუმოწმდება, არამედ ჩაუტარდება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა სახის კვლევები, რის შემდეგაც მის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე საბოლოო დასკვნა დაიდება.

მერიის ყოფილი თანამშრომელი ოთარ აბესაძე ქრთამის აღების ბრალდებით სუსმა დააკავა. გამოძიების თანახმად, აბესაძემ მდინარე მტკვარზე, გარკვეული კონსტრუქციის აშენებისთვის საჭირო ნებართვის მისაღებად და ნებართვის მიღებამდე მშენებლობის წარმოების მფარველობის სანაცვლოდ მოქალაქეს 3 ათასი დოლარი ქრთამის სახით გამოართვა.

ამჟამად სასამართლოში საქმის არსებითი განხილვა მიმდინარეობს. არაერთი შუამდგომლობის მიუხედავად, ოთარ აბესაძეს შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა არ შესცვლია და ის დღემდე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში რჩება.

პროკურატურამ ტრანსგენდერი ქალის ცემისთვის ერთ პირს ბრალდება წარუდგინა

2017 წლის 25 სექტემბერს, გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის გამო ტრანსგენდერი ქალის – ს.ო.-ს ცემისთვის ბრალდება წარედგინა ა.გ.-ს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (ცემა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი).

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ქ.თბილისში, ბრალდებულმა ა.გ.-მ ხელის მრავალჯერადი დარტყმით დაზიანებები მიაყენა ტრანსგენდერ ს.ო.-ს გენდერული იდენტობის მიმართ გამოვლენილი შეუწყნარებლობის მოტივით, რის შედეგადაც ს.ო.-მ მიიღო სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება, ჯანმრთელობის მოუშლელად. სასამართლოს განჩინებით ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო.

საქმეზე გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1 წლამდე ვადით.

რუსთავში მოზარდს სატვირთო ავტომანქანა დაეჯახა

რუსთავში მე-19 მიკრორაიონში სუპერმარკეტ „მადაგონის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ გზაჯვარედინზე სატვირთო ავტომანქანა 14 წლის ბიჭს დაეჯახა.

თვითმხილველების ინფორმაციით, სატვირთო ავტომანქანამ შუქნიშნის წითელ ფერზე იმ დროს გაიარა, როდესაც არასრულწოვანი გზაზე გადადიოდა. მოზარდს, წინასწარი ინფორმაციით, ფეხი აქვს მოტეხილი, იგი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლი 1-ელი ნაწილით დაიწყო, რაც ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევაა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავდა, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო

შსს–მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს.

მათივე ინფორმაციით, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, 1972 წელს დაბადებული კ.გ. ნარკოდანაშაულისთვის თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ბუპრენორფინის შემცველი ნარკოტიკული საშუალების 487 აბი ამოიღეს.

ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად, კ.გ.-ს ბუპრენორფინის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

ფოთში რვა თვის ბავშვი მეოთხე სართულიდან გადმოვარდა

ფოთში, სამეგრელოს ქუჩაზე რვა თვის ბავშვი საცხოვრებელი სახლის მეოთხე სართულიდან გადმოვარდა. ექიმების ინფორმაციით, მისი მდგომარეობა მძიმეა.

ქალაქის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში ბავშვის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

საქართველოს მოქალაქე ქალბატონმა ბაქოში იტალიელი გაძარცვა

ბაქოში ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის თანამშრომელი, რომელიც იტალიის მოქალაქეა, საქართველოს მოქალაქე ქალბატონმა გაქურდა.

ინფორმაციის თანახმად, 61 წლის რენატო ზორზემ ქალბატონი, სახელად ლია გაიცნო, რომელიც მოგვიანებით სახლში დაპატიჟა. სტუმარმა ქალბატონმა მასპინძლის გაქურდვა მოახერხა. მისი ჯიბიდან საბანკო ბარათი მოიპარა, რომლის ანგარიშზეც 12 ათასი აზერბაიჯანული მანათი იყო. სამართლადამცავებმა საქართველოს მოქალაქე ლია მ. თანმხლებ მამაკაცთან ელდარ ა-სთან ერთად დაიკავეს.

ნანა კაკაბაძე პრეზიდენტის დაკითხვას ითხოვს

ნანა კაკაბაძე პრეზიდენტის დაკითხვას ითხოვს. საქმე ეხება პატრიარქის დაცვის ყოფილი უფროსის სოსო ოხანაშვილის ჩვენებას, რომელიც მან სასამართლოს მისცა. აუდიომასალაში, რომელიც რამდენიმე დღის წინ გასაჯაროვდა, ოხანაშვილი შეწყალების კომისიის მუშაობაზე და შესაძლო კორუფციაზე საუბრობს. ოხანაშვილი სწორედ კაკაბაძეს, ადვოკატ ირმა ჭკადუასა და დეპუტატ ეკა ბესელიას ასახელებს. კაკაბაძე ამბობს, რომ შეწყალება პრეზიდენტის ექსკლუზიური უფლებაა და მისი მონაწილეობის გარეშე კომისია გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა, ამიტომ მთავარი კითხვები გამოძიებას გიორგი მარგველაშვილის მისამართით უნდა ჰქონდეს.

– მე არაფერს არ გამოვრიცხავ, მე ვიძახი, რომ ეს არის გამოძიების საგანი, ანუ პროკურატურა უნდა დაინტერესებულიყო ამით. უკვე უნდა დაკითხული იყოს პრეზიდენტი, იმიტომ, რომ თქვენ იცით, რომ ერთადერთი პირი კონსტიტუციით, ვინც არის უფლებამოსილი შეიწყალოს ადამიანი, ეს არის პრეზიდენტი, – განაცხადა ნანა კაკაბაძემ.

ტრამპმა საბერძნეთის პრემიერი მიიღო

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა საბერძნეთის პრეზიდენტი ციპრასი მიიღო. მოლაპარაკებების ძირითადი თემა აშშ-საბერძნეთს შორის სამხედრო, ენერგეტიკულ და ეკონომიკურ სფეროებში თანამშრომლობა იყო.

ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ციპრასის ვიზიტი თურქეთ-საბერძნეთს შორის ურთიერთობების გამწვავების ფონზე მოხდა. როგორც ცნობილია, კვიპროსის საკითხზე თურქეთ-საბერძნეთს შორის სერიოზული დაპირისპირებაა.

– ვიზიტის შედეგებით კმაყოფილი ვარ! ამერიკა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, – განუცხადა ჟურნალისტებს ციპრასმა.

ინგლისის დაზვერვა: „ტერორიზმის საფრთხე გაიზრდება!“

ინგლისის დაზვერვის შეფმა ენდრიუ პარკერმა განაცხადა, რომ უახლოეს ხანებში ტერორიზმის მკვეთრი გააქტიურებაა მოსალოდნელი. ტერაქტების საფრთხე ემუქრება როგორც ინგლისს, ასევე მთელ ევროპას.

– საფრთხე ისლამისტი ექსტრემისტებისგან მომდინარეობს, – აცხადებს პარკერი.

დაზვერვის შეფის აზრით, მოსალოდნელია როგორც თავდასხმები ცალკეულ პიროვნებებზე, ასევე მასობრივი მკვლელობები, სტადიონების, თეატრების, რესტორნების, სკოლების, საბავშვო ბაღების აფეთქებები.

– ეს გვავალდებულებს, განსაკუთრებული სიფხიზლე გამოვიჩინოთ! – თქვა პარკერმა.



სირიის დემოკრატიულმა ძალებმა რაქა მთლიანად აიღეს

სირიის დემოკრატიულმა ძალებმა (არაბები, ქურთები) ისლამური სახელმწიფოს დედაქალაქი რაქა მთლიანად დაიკავეს.

ქალაქის აღების ოპერაცია ჯერ კიდევ ივლისში დაიწყო. არაბებისა და ქურთების გაერთიანებულ ფორმირებას აქტიურ დახმარებას უწევდა ამერიკული ავიაცია.

გააფთრებული იერიშების შედეგად ქურთებისა და არაბების გაერთიანებულმა ფორმირებამ ტერორისტები განდევნა ქალაქის საავადმყოფოდან, რომელიც ექსტრემისტების მთავარი შტაბ-ბინა იყო. ამ დროს ლიკვიდირებულ იქნა 22 ტერორისტი. ისლამისტებმა ქალაქის სტადიონისკენ გადაინაცვლეს. გააფთრებული ბრძოლების შედეგად ექსტრემისტების ეს უკანასკნელი საყრდენიც დაეცა.

– რაქა აღებულია! – იტყობინება სირიის დემოკრატიული ძალების პრესცენტრი.

კატალონია: დაიწყო სეპარატისტების დაკავება

ესპანეთის სასამართლომ არალეგიტიმურად ცნო კატალონიის პარლამენტის მიერ მიღებული კანონი რეფერენდუმის შესახებ. ოფიციალურმა მადრიდმა სეპარატისტების ლიდერ კარლეს პუჩდემონს კვლავ მიმართა და მოსთხოვა, გასცეს კონკრეტული პასუხი შეკითხვაზე, გამოცხადდა თუ არა კატალონიის დამოუკიდებლობა.

პუჩდემონს დღემდე ამ კითხვაზე პასუხი არ გაუცია.

– თუ 19 ოქტომბრამდე პუჩდემონმა გარკვეული პასუხი არ გაგვცა, კატალონიის ავტონომია შეჩერებული იქნება, – იმუქრება ესპანეთის პრემიერი რაჰოი.

მადრიდმა ძალის დემონსტრირებაც მოახდინა. დაატიმრეს კატალონიელი სეპარატისტების ორი ლიდერი. პასუხად პუჩდემონმა მოსახლეობას ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდა.

– დაიწყო პოლიტიკური რეპრესიები! ხალხნო, გამოდით! – განაცხადა პუჩდემონმა.

ოფიციალური მადრიდის ცნობით, ქუჩაში მხოლოდ 10.000 ადამიანი გამოვიდა. თავად აქციის ორგანიზატორები აცხადებენ, რომ მანიფესტაციაში 200.000 მოქალაქე მონაწილეობდა.

საფრანგეთში ულტრარადიკალები დააკავეს

საფრანგეთში ულტრარადიკალები დააკავეს. ისინი 17-18 წლის ასაკისანი არიან.

ისინი გეგმავდნენ თავდასხმებს მეჩეთზე, ცალკეულ პოლიტიკოსებზე, ასევე ერთ-ერთ მოქალაქეზე, რომელსაც ბრალს ნარკოდილერობაში დებდნენ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

ესტონეთში შავი წვიმა მოვიდა

ესტონეთის რეგიონებში იარვამაასი და ტარტუმაასი შავი წვიმა მოვიდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი პორტალი ავრცელებს.

აღსანიშნავია, რომ წვიმის შემდეგ მიწაზე ნაცრისფერი ქაფი წარმოიშვა.

– ჩვენ თანამგზავრიდან მიღებული ფოტოსურათებიც ვნახეთ და ფინეთის მეტეოსამსახურმაც დაადასტურა, რომ ჩვენამდე მოაღწია ბოლმა და ფერფლმა, რომელიც პორტუგალიაში გაჩენილი ხანძრის შედეგია, ასევე მას ნაწილობრივ დაემატა საჰარის უდაბნოს მტვერიც, – განაცხადა სინოპტიკოსმა ტაიმი პალიაკმა.

მან ასევე დაამატა, რომ ინფორმაცია

ჰაერის ქიმიურ შედგენილობაზე არ აქვთ, ვინაიდან ქვეყანაში ამ საქმით არავინაა დაკავებული.

შეგახსენებთ, რომ პორტუგალიაში გაჩაღებულ ტყის ხანძრებს 27 ადამიანი ემსხვერპლა, 51 ადამიანი დაშავდა, მათგან 15 მძიმე მდგომარეობაში იმყოფება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება მცენარეული, უსაფრთხო პროდუქციით, „ზაპოისა“ და ყველანაირი გართულების მოწესრიგებით, კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მოგვარება, ფსორიაზისა და კანის სხვადასხვა დაავადების აბსოლუტური განკურნებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

მარეკ ჰამშიკი: „როცა ვიცი, რომ მარადონას შემდეგ მეორე ვარ, მშვენიერ ხასიათზე ვდგები“

სერია ა-ს წლევანდელი სეზონი განსაკუთრებულად დაიწყო ნაპოლიმ. 7 ტურის შემდეგ ნეაპოლიტანური გუნდი 100%-იანი შედეგით ცხრილის სათავეშია.

გუნდის ერთ-ერთი ლიდერია სლოვაკი ნახევარმცველი მარეკ ჰამშიკი, რომელიც უკვე 11 სეზონია გუნდის ღირსებას იცავს და მისი კაპიტანიც არის.

– უკვე მე-11 სეზონს ატარებთ ნაპოლიში. რომელი იყო თქვენთვის საუკეთესო?

– ძალიან სწრაფად გავიდა 10 წელიწადი... პრაქტიკულად აქ გავიზარდე. ნაპოლიში რომ მოვედი, თითქმის ბავშვი ვიყავი. კლუბის წარმატებებიდან ჩემს მეხსიერებაში თასის მოგება დარჩა. პირადად ჩემთვის ნებისმიერი გამარჯვება ფასეულია. ბავშვობიდან ასე ვარ...

– რას ნიშნავს თქვენთვის ნეაპოლი?

– ნეაპოლი ჩემი ცხოვრებაა. ვერ ვიხსენებ დროს, როცა ჩემში ქალაქისადმი უსაზღვრო სიყვარული დაიბადა. 10 წელი ერთ გუნდში ცოტა ნამდვილად არ არის. არასოდეს მქონია სურვილი, ამ მხრივ რამე შემეცვალა. აქ ძალიან კარგად ვარ.

– სხვათა შორის, 10 წლის თავზეც კი საერთოდ არ შეცვლილხართ.

– წარმოიდგინეთ, ისევ ის ენერგია და ბრძოლის ჟინი მაქვს, რაც ჭაბუკობაში მქონდა.

– ძნელია, იყო გუნდის ლიდერი?

– ძნელია, მაგრამ სასიამოვნო. ყველა გიცნობს, ყველას უყვარხარ... ტრაბახით არ ვამბობ, მაგრამ ვიცი, რომ ნეაპოლელების გულში ვარ და ეს კიდევ უფრო მეტ ენერგიას მაძლევს.

– გარედან ისე ჩანს, თითქოს არასოდეს ბრაზობთ. ასეა?

– მხოლოდ მაშინ ვბრაზობ, როცა თამაშის დროს მცვლიან.

– დიეგო მარადონას რეკორდზე არ გიფიქრიათ? მან 115 გოლი გაიტანა ნაპოლის შემადგენლობაში, თქვენ 114 გოლი გაქვთ გატანილი.

– მართალი გითხრათ, ამაზე ბევრი არ მიფიქრია. დიეგო სხვა ფენომენია. ის აქ ღმერთია და ამით ყველაფერია ნათქვამი. თუნდაც ის, რომ მარადონას შემდეგ მეორე ვარ, უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის, მშვენიერ ხასიათზე ვდგები...

– რომელი იყო ნაპოლის შემადგენლობაში გატანილი 114 გოლიდან ყველაზე დასამახსოვრებელი?

– რა თქმა უნდა, პირველი! სამპდორიას გავუტანე... და კიდევ იუვენტუსთან იტალიის თასის ფინალში რომ გავიტანე...

– გინდათ, რეალზე შური იძიოთ ჩემპიონთა ლიგაში?

– ძალიან, მაგრამ მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ან ფინალში.

– ერთხელ მთავარმა მწვრთნელმა მაურიციო სარიმ წამოაყენა იდეა, სანაკრებო მატჩები გაიმართოს ზაფხულში, როცა ჩემპიონატები დასრულებულია.

– და დასვენება? კალენდარი ისედაც გადატვირთულია. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ბევრი ჩვენგანისთვის ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში თამაში დიდი სიამოვნებაა. განსაკუთრებით მათთვის, ვინც უცხოეთში თამაშობს.

– უფრო მეტად რა გწყინთ – როცა გოლი ვერ გაგაქვთ, თუ თამაშის დროს რომ გცვლიან?

– საბედნიეროდ, გუნდი ჩემს გოლებზე არ არის დამოკიდებული. წინა ხაზში 3 ისეთი გამტანი გვყავს... მიმაჩნია, რომ ნაპოლის ევროპაში საუკეთესო თავდასხმა ჰყავს. ასე რომ, მაინც შეცვლები...

– სარისთან ამ თემაზე გილაპარაკიათ?

– რა თქმა უნდა! მოედნიდან ნაადრევად გასვლა არავის მოსწონს, ამაში მარტო ნამდვილად არ ვარ.

– დრის მერტენსის ასეთ გარდასახვას ელოდით?

– მე მიმაჩნია, რომ ის ფლანგზეც ძალიან კარგი იყო. მაგრამ წინა ხაზზე მან ნამდვილად ყველა გააკვირვა. ახლა გუნდს ნამდვილი შედეგიანი ცენტრფორვარდი ჰყავს.

– ეს სეზონი ნაპოლისა და იუვენტუსს შორის დუელის ნიშნით ჩაივლის? ბევრი მიიჩნევს, რომ სკუდეტოს ბედი სწორედ ამ 2 გუნდის დაპირისპირებაში გადაწყდება.

– შეიძლება, ასეც იყოს. დღეს სკუდეტოზე ლაპარაკი ძალიან ადრეა. მთავარი მატჩები ჯერ კიდევ წინაა, მათ შორის ურთიერთშეხვედრები. ბევრს კი ლაპარაკობენ იუვენტუსსა და ნაპოლიზე, მაგრამ გირჩევდით, მხედველობიდან არ გამოგრჩეთ მილანური გუნდები და არა მარტო ისინი... ამ სეზონში ყველა ჩვენი კონკურენტი გაძლიერდა.

– ოდესმე გინანიათ, რომ არ გადახვედით მილანში ან იუვენტუსში?

– არასოდეს! რომ მდომოდა, არ გავიხდიდი საქმეს სანანებლად და წავიდოდი რომელიმე სხვა გრანდში, ამიტომაც დავრჩი ნაპოლიში.

– ემხრობით ვიდეორეფერის სისტემის დამკვიდრებას?

– არ ვიცი. ცხადია, ეს ეხმარება მსაჯებს, მაგრამ რაღაცასაც ართმევს. ნახეთ რა სიტუაციაა – უკვე აღარ ხარ დარწმუნებული, რომ გოლი გაიტანე და მართლა საზეიმოდ გაქვს საქმე. წუთში შეიძლება გაგიუქმონ. თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ, გარკვეულ სიტუაციებში ის გვეხმარება. მაგალითად, ავიღოთ ფეიენოორდთან მატჩი – ვიდეორეფერის რომ ემუშავა, ჩვენს კარში პენალტი არ დაინიშნებოდა.

– რა შეიცვალა ნაპოლიში წინა სეზონთან შედარებით?

– წინა სეზონი ლამაზად დავასრულეთ, ძალები და დამაჯერებლობა შეგვემატა. სწორედ აქედან მოდის ის, რომ მიმდინარე სეზონში, ჯერჯერობით, ყველა მატჩი მოვიგეთ. ეს კიდევ უფრო მეტ ენერგიას გვაძლევს.

– როგორ მოგწონთ დღევანდელი იუვენტუსი? ნაკლებად სანახაობრივია, მაგრამ უფრო ძლევამოსილი.

– იუვენტუსი ჯავშნოსანი მატარებელია. ის არ გადადის გზიდან და ამაშია მისი ძალა.

– რას ფიქრობთ საფეხბურთო აგენტ მინო რაიოლაზე?

– სერიოზული სპეციალისტია. ვარსკვლავების დიდი ნაწილი მისი მეურვეობის ქვეშაა.

– მაგრამ არის ერთი ვარსკვლავი, რომელიც ვერ მოხვდა მის არეალში. მან ვერ დაგარწმუნათ, რომ ნაპოლიდან წასულიყავით?

– ყველას თავისი გზა აქვს. ორივენი პროფესიონალები ვართ. საერთოდ არ მაღელვებს, რას ფიქრობს ან ლაპარაკობს რაიოლა ჩემზე...

– საფეხბურთო სამყაროში მეგობრობა არსებობს?

– ბუნებრივია, არსებობს. როგორ მოიგებ რამეს, როცა გუნდში მეგობრობა არ არის?

– თქვენს პოზიციაზე საუკეთესო ფეხბურთელი ვინ არის?

– ინიესტა. შემიძლია, საათობით ვუყურო მის თამაშს და ის საოცარი მოძრაობები შევისწავლო.

– არის ისეთი მწვრთნელი, ვისთანაც თანამშრომლობას ისურვებდით?

– გვარდიოლა.

– გიფიქრიათ, კარიერის დასრულების შემდეგ რას გააკეთებთ?

– არ ვიცი, ჯერ 30 წლის ვარ და ფეხბურთიდან წასვლაზე ნამდვილად არ მიფიქრია. შეიძლება, მწვრთნელი გავხდე, ან კლუბში რამე თანამდებობაზე... მაგრამ მანამდე უნდა გადავიკარგო სადმე ოჯახთან ერთად და კარგად დავისვენო.

– სად? ბანსკა-ბისტრიცაში?

– იქ მაშინ წავალ, როცა დავბერდები. იქ დავიბადე, გავიზარდე... იქ ჩამინერგეს მშობლებმა თავში, რომ შემეძლო, დიდი სიმაღლეებისთვის მიმეღწია. მათ ბევრი რამ გაწირეს იმისთვის, რომ ჩემი ოცნებები ახდენილიყო. ეს მათი ოცნებაც იყო...

ფაჩულიამ და გოლდენ სტეიტმა საჩემპიონო ბეჭდები წაგებით აღნიშნეს

დაიწყო ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული სეზონი და პირველივე დღეს საქმეში ჩაერთო ზაზა ფაჩულია. გასული სეზონის გამარჯვებული გოლდენ სტეიტი ჰიუსტონ როკეტსთან მატჩის წინ საჩემპიონო ბეჭდებით დაჯილდოვდა.

ქართველი ცენტრი ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა, მისმა გუნდმა კი რაკეტებთან დაძაბულ ბრძოლაში, ბოლო წამებზე 121:122 წააგო. მატჩის დრო დამთავრებული იყო, როცა კევინ დურანტმა 2-ქულიანი ჩააგდო და მეომრები გამარჯვების მომტანი 2 ქულის ჩათვლას ითხოვდნენ, თუმცა გამეორებაზეც გამოჩნდა, რომ დურანტმა ბურთი საფინალო სირენის შემდეგ ისროლა.

არადა, მეომრები მთელი მატჩის განმავლობაში წინ იყვნენ, ბოლო მეოთხედის წინ სულაც 13 ქულით ლიდერობდნენ, მაგრამ ეს უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს.

ფაჩულიას ბევრი დრო არ მიცემია და პარკეტზე სულ 10,14 წუთი გაატარა. ამ დროში ჩვენებურმა 6 ქულა, 3 მოხსნა და 1 დაფარება გაახერხა. ზაზამ 2-დან 2 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო გამოიყენა.

გოლდენ სტეიტს ტრადიციულად სტეფ კარიმ (22 ქულა) და კევინ დურანტმა (20) ულიდერეს, ქულა დააკლდა სამმაგ დუბალამდე დეიმონდ გრინს (9 ქულა, 11 მოხსნა, 13 პასი). რაკეტებში საუკეთესო ჯეიმს ჰარდენი იყო – 27 ქულა, 10 პასი, ხოლო ერიკ გორდონმა 24 ქულას მოუყარა თავი.

მომდევნო შეხვედრას გოლდენ სტეიტი სტუმრად საკრამენტო კინგზთან გამართავს.

შედეგები

მედეგები
17 ოქტომბერი
ფეხბურთი
უეფას ჩემპიონთა ლიგა

აპოელი-დორტმუნდი	1:1
სიტი-ნაპოლი	2:1
მარიბორი-ლივერპული	0:7
მონაკო-ბეშიქთაში	1:2
ლაიფციგი-პორტუ	3:2
რეალი-ტოტენჰემი	1:1
სპარტაკი-სევილია	5:1
ფეიენოორდი-შახტარი	1:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საქართველოს კალათბურთში ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა სურს

საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ ევრობასკეტ 2021-ის ქვეჯგუფის მასპინძლობის სურვილი ფიბა-ევროპის ხელმძღვანელობასთან დააფიქსირა. მოგეხსენებათ, ფიბა-მ მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა და ამიერიდან ევრობასკეტი 4 წელიწადში ერთხელ გაიმართება.

მიხეილ გაბრიჩიძე, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი:

– ფიბა-ს ხელმძღვანელებთან უკვე დავაფიქსირეთ ჩვენი ფედერაციის სურვილი, ვუმასპინძლოთ ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ ჯგუფს. მომავალ გაზაფხულს ფიბა-ს აღმასრულებელი ორგანო, ე.წ. ბორდი შეიკრიბება და საბოლოოდ გადაწყდება მომავალი ევრობასკეტის ჩატარების ფორმატი. ბოლო ორმა ჩემპიონატმა აჩვენა, რომ ტურნირის რამდენიმე ქვეყანაში ჩატარება საკმაოდ მისაღებია... მართალია, 2021 წლის ევრობასკეტის მთლიანად ჩატარების წინასწარი სურვილი ესპანეთმა გამოთქვა, მაგრამ ვფიქრობ, ბოლო წლების დადებითი მაგალითი გადააწყვეტინებს ფიბა-ს, ფორმატი არ შეცვალოს და ტურნირის ჯგუფებს სხვადასხვა ქვეყნებმა უმასპინძლონ. ასეთ შემთხვევაში, გამოცხადდება ის პირობები, რაც ევრობასკეტის მასპინძლობის მსურველმა ქვეყანამ უნდა დააკმაყოფილოს და ჩვენ მზად ვართ, ამ მხრივ ვიმუშაოთ და ფიბა-ში უკვე განაცხადი შევიტანოთ.

მომავალ ნოემბერში დაიწყება მსოფლიოს 2019 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. რაც შეეხება კონტინენტურ პირველობას, ევრობასკეტზე მოსახვედრი შესარჩევი ტურნირი მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დაიწყება.

ბათუმი მეორე მატჩში გერმანულ ჰაიდელბერგს დაუხვდება

21 ოქტომბერს ბათუმი ევროპული რაგბის „კონტინენტის ფარზე“ პირველ საშინაო მატჩს გამართავს. საქართველოს ვიცეჩემპიონი რაგბი არენაზე გერმანული რაგბის ფლაგმანს – ჰაიდელბერგს უმასპინძლებს.

პირველ ტურში ბათუმმა იტალიაში „იომა“ და გამარჯვებამდე სულ ცოტა დააკლდა – 27:31. ზღვისპირელებმა მეტოქეს 4 ლელო გაუტანეს, რისთვისაც ბონუს-ქულა ერგო, მცირედი მარცხისთვის კიდევ ერთი ბონუსი აიღო და შინ 2 სატურნირო ქულით დაბრუნდნენ, რაც გუნდს პლეი ოფში გასვლის კარგ შანსს უტოვებს.

ჰაიდელბერგმა კი პირველ ტურში იტალიის ჩემპიონატის ლიდერს, მოქმედ ჩემპიონ კალვიზანოს უმასპინძლა და 23:19 დაამარცხა. გერმანელებმა მეტოქეს 3 ლელო გაუტანეს და 2 გაუშვეს. ამ მატჩში იტალიელებმა მცირედი მარცხისთვის 1 ქულა მიიღეს.

ვიეტნამელი სამი წლის ბიჭი ექვსმეტრიან პითონზე ამხედრდა

ვიეტნამის პროვინცია ტხანიხოაში სამი წლის ბიჭმა უზარმაზარი პითონის ზურგზე მჯდომმა გაისეირნა.

ვიდეოზე, რომელიც ინტერნეტში გამოჩნდა, ჩანს, რომ ბავშვი მოზრდილების თანდასწრებით ექვსმეტრიანი ქვეწარმავლის ზურგზე ზის, ხოლო გველი მის ჩამოსაგდებად არაფერს აკეთებს.

ბავშვის დეიდამ განაცხადა, რომ ოჯახს ეს პითონი უკვე ოთხი წელია შინაური ცხოველივით ჰყავს.

– იმ დღეს წვიმდა და წყალმა ეზოს ნაწილი დატბორა, – განაცხადა ქალმა, – ოჯახის წევრებმაც პითონი იქ გაუშვეს გასართობად და სათამაშოდ.

ვიდეო გადაღებულია წყალდიდობის დროს, რომლის გამოც ვიეტნამის პროვინციებიდან ტხანიხოადან, ნგეანიდან და ხატინიდან ხუთი ათასზე მეტი ოჯახი იქნა ევაკუირებული.

ბრიტანეთის სანაპირო დაცვამ ზღვაში მოხვედრილი ძაღლი გადაარჩინა

ბრიტანეთის სანაპირო დაცვამ გადაარჩინა ძაღლი, რომელიც ნაპირიდან წყალმა ღია ზღვაში გაიტაცა. შემთხვევა შოტლანდიაში მორი-ფორტის ყურეში მოხდა.

ძაღლი წყალმა ზღვაში დილის გასეირნების დროს გაიტაცა. მომხდარის თაობაზე სანაპიროს დაცვის სამსახურისთვის გახდა ცნობილი. ცხოველის მოსაძებნად შვეულმფრენი გაიგზავნა, რომელიც შორიახლოს საწვრთნელ ფრენას ახორციელებდა. მისმა ეკიპაჟმა მალევე აღმოაჩინა დაკარგული ცხოველი.

შვეულმფრენი ცხოველის თავსზევით დაეკიდა და ადგილზე მაშველების მისვლას დაელოდა.

– მათ ძაღლი ნავში აიყვანეს და პატრონებს დაუბრუნეს, რომლებიც ნაპირზე ელოდებოდნენ, – განმარტა სანაპირო დაცვის წარმომადგენელმა.

ამ მოვლენის ამსახველი ვიდეოჩანაწერი სანაპირო დაცვის სამსახურმა ტვიტერში გამოაქვეყნა.

ცხოველის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოცეკვავემ ქუსლიანი ფეხსაცმლით 42 კილომეტრი რეკორდულ დროში გაირბინა

ყოფილმა მოცეკვავე გოგონამ მარათონული მანძილი მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით 7 საათსა 28 წუთში გაირბინა და გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა.

– აბა რას იტყვით, მე ეს გავაკეთე. თავადაც შოკში ვარ, მაგრამ ეს მართლაც მოხდა, – დაწერა ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე ირენ სიუელმა, ამერიკის ტენესის შტატის ქალაქ ჩატანუგადან. მან 42 კილომეტრი მანძილი 7,6 სანტიმეტრი სიმაღლის ქუსლიანი ფეხსაცმლით დაძლია და ორი წუთით გააუმჯობესა ადრინდელი რეკორდი.

ექიმის რეკომენდაციით, სიუელი სპორტული ფეხსაცმლით ვარჯიშობდა და მხოლოდ ზოგჯერ ასრულებდა გარბენს მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით.

მარათონული გარბენის დროს გოგონამ ექვსი წყვილი სხვადასხვა ზომის ფეხსაცმლით ისარგებლა.

145-კილოგრამიანი ამერიკელი ქალი ნათესავს დააჯდა და გაგუდა

ამერიკელი ქალი, რომელიც მკვლელობაში დაადანაშაულეს, თავის ნათესავს დააჯდა და გაგუდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს.

ინციდენტი ფლორიდის შტატის ქალაქ პენსაკოლაში მოხდა. გოგონას დედამ, გრეის სმიტმა ონავარი შვილის თავნებობას ვერაფერი მოუხერხა და ბავშვის დეიდას სთხოვა, რომ მისთვის ჭკუა ესწავლებინა.

64 წლის ვერონიკა პოუზიმ, რომელიც 145 კილოგრამს იწონის, გადაწყვიტა, ათი წლის ნათესავი გოგონა დაესაჯა და მას ჯერ სახაზავი, მერე კი ლითონის მილი ჩაარტყა. გოგონა სავარძლისკენ გაიქცა, ქალი მას დაეწია და ზევიდან დააჯდა. 34 კილოგრამი წონის გოგონამ დაიჩივლა, რომ სული ეხუთებოდა, მაგრამ მის ნათქვამს პოუზიმ ყური არ ათხოვა.

როდესაც ქალი წამოდგა, გოგონა უკვე მკვდარი იყო. ექიმებმა დაადგინეს, რომ ბავშვს გულის შეტევა დაემართა, რისი მიზეზიც ჟანგბადის უკმარისობა გახდა. რამდენ ხანს იჯდა ბავშვზე პოუზი, უცნობია.

ქალის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა გაუფრთხილებლობით მკვლელობის ბრალდებით. მშობლებს კი ბრალი ბავშვის მიმართ არასათანადო მოპყრობაში ედებათ. საქმის სასამართლო განხილვა 3 ნოემბერს გაიმართება.

კაციჭამია ვეფხვი, რომელიც ინდოეთს ატერორებდა, დენის დარტყმამ იმსხვერპლა

ინდოეთის მახარაშტრას შტატის ქალაქ ბრამაპურიში დაიღუპა ვეფხვი, რომელმაც ოთხი ადამიანი მოკლა.

ცხოველის ნეშტი ელექტროღობესთან ნახეს, რომელიც ადგილობრივმა ფერმერმა საკუთარი ნათესების ტახებისგან დასაცავად აღმართა. მტაცებლის სიკვდილის მიზეზი დენის დარტყმა გახდა. ღობის პატრონი დააპატიმრეს.

– მოვლენების როგორი სასტიკი განვითარებაა. ჩვენი ყველაზე უარესი ვარაუდი გამართლდა, – განაცხადა ინდოეთის ველური ბუნების დაცვის საზოგადოების წარმომადგენელმა, – ცხოველთა დაცვის საქმეში უკანონო ელექტროღობეები ყველაზე დიდ პრობლემად რჩება.

ცხოველთა დამცველები რამდენიმე თვე იბრძოდნენ ვეფხვის გადასარჩენად, რომლის მოკვლის ნებართვა იყო გაცემული, მას შემდეგ, რაც ის პირველად დაესხა თავს ადამიანებს. მიმდინარე წლის ივლისში მტაცებელი დაიჭირეს და ნაკრძალში გადაიყვანეს, თუმცა ის იქიდან გაიქცა და კიდევ ორი ადამიანი მოკლა. 12 ოქტომბერს სასამართლომ ცხოველის მოკვლის განკარგულება ძალაში დატოვა, მაგრამ ის მანამდე დაიღუპა, ვიდრე მას მონადირეები მიაგნებდნენ.

ასტროპროგნოზი

19 ოქტომბერი

ვერძი – მიუხედავად დაძაბულობისა, სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. გაუფრთხილდით ურთიერთობას კოლეგებთან. **კურო** – როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში საინტერესო მოვლენებს ელოდეთ. ახალი საქმე შეგიძლიათ თამამად დაიწყოთ. **ტყუპები** – ეცადეთ, თქვენი გეგმები ახალგაცნობილ ადამიანებს გაანდოთ. სასარგებლო რჩევებს მიიღებთ. **კირჩხიბი** – წარმატებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ რეალობას ადეკვატურად შეაფასებთ. სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. **ლომი** – განმარტოება, მშვიდ გარემოში ფიქრი სასიკეთოდ წაგადგებათ. საღამო განსაკუთრებით კეთილისმყოფელი იქნება. **ქალწული** – ნუ აჩქარდებით. პროფესიონალურ სფეროსა და პირად ცხოვრებაში შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვთ. ზედმეტი მიმნდობლობა ფინანსურად დაგაზარალებთ. **სასწორი** – თუ პარტნიორებმა ახალი საქმე შემოგთავაზეს, მაშინვე ნუ დათანხმდებით. შედეგი გაურკვეველი იქნება. **ღრიანკალი** – ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის შესაფერისი პერიოდია. სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. **მშვილდოსანი** – იღბალი თქვენ მხარესაა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **თხის რქა** – ფინანსური ოპერაციებისას სიფრთხილე და თავშეკავება გამოიჩინეთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **მერწყული** – სიყვარულში ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით თითოეული წამით. **თევზები** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ქართული ხალხური ცეკვა; 2. სახელმწიფოს ერთ-ერთი სიმბოლო; 3. იტალიაში მოთამაშე საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების წევრი; 4. მოღრუბლული დილა; 7. ჩეხური საავტომობილო ფირმა; 9. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ბოროტი არსება; 12. სამეთვალყურეო გემი ნავსადგურში; 14. საჭმელი სოკო; 15. საფეხურებად გადმომჩქეფი ხელოვნური წყალვარდნილი; 17. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 20. ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში.

თარაზულად: 5. აეროპორტი სოხუმის მახლობლად; 6. ყორნისებრთა ოჯახის მოლაპარაკე ფრინველი; 8. ბალზაკის ცნობილი ნოველა; 10. კომედიური ჟანრის მუსიკალური წარმოდგენა; 11. სინარნარე, მოხდენილობა მოძრაობაში, ცეკვაში; 13. მონადირე ძაღლის ჯიში; 16. დამბლა, მოქმედების უნარის დაკარგვა; 18. ბარიტის საბადო რაჭაში; 19. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი საქართველოში; 21. მკბენარა მწერი; 22. გემის მიერ განვლილი მანძილის საზომი ხელსაწყო; 23. მინერალი, ძვირფასი მოსაპირკეთებელი სამშენებლო მასალა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. უჯრედი; 2. ცემი; 3. კონტრაქტი; 4. „ჰერტა“; 5. ხილნარი; 8. ლაგუნა; 9. ბობოყვათი; 12. ქაბული; 14. ჩარექა; 16. უბისა.

თარაზულად: 1. უფლისციხე; 6. პოლონეზი; 7. რეკლამა; 9. „ბენტლი“; 10. „იავა“; 11. კურსები; 13. მაჩვი; 15. კაკადუ; 17. ფერწერა; 18. კულუხი; 19. „აიაქსი“; 20. ტარიელი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პოტენცია; 2. „ჰერში“; 3. სტიუარდი; 4. ფიშერი; 7. ფლუსი; 9. ამატი; 12. არითმეტიკა; 14. ჯორჯია; 15. ქებურია; 17. რაფსოდი; 20. მუაში.

თარაზულად: 5. ფოლკნერი; 6. კატრანი; 8. კაშხალი; 10. ვესტერნი; 11. ყირიმი; 13. „ფაიზერი“; 16. ჩიკანოსი; 18. პალმა; 19. უბისა; 21. ტუნისი; 22. კინტრიში; 23. ბოტდეკი.

ნინო წულაია გათხოვდა

„ნიჭიერის“ მონაწილე ნინო წულაია გათხოვდა. მომღერალი გოგონა საოპერო ხმით, რომელიც მთელმა საქართველომ გაიცნო და შეიყვარა, საყვარელ მამაკაცზე დაქორწინდა. ქორწილს წინ უძღოდა ტრადიციული ნიშნობა, რაც გრანდიოზულმა ქორწილმა დააგვირგვინა.

ნინო და მისი რჩეული თაფლობის თვეს ევროპაში ატარებენ. ნინო სოციალურ ქსელში ფოტოებს ავრცელებს, რომლებიც ეიფელის კოშკთან, ლა სკალაში, ლუვრის მუზეუმში და ევროპის სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებში აქვს გადაღებული.

გოგი ოჩიაური გარდაიცვალა



90 წლის ასაკში მოქანდაკე გოგი ოჩიაური გარდაიცვალა.

ინფორმაცია პოლიტიკოსმა ეკა ხერხეულიძემ გავრცელა:

– 90 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს დიდი პატრიოტი, ბატონი გოგი ოჩიაური. ჩემს ირგვლივ აღარ დარჩა ისეთი ადამიანი, რომელიც მასავით ხელშესახებად იცნობდა და სცნობდა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის ქრონიკებს. ამიტომ დაუღალავად შემეძლო მისი მოსმენა. ზედმიწევნით კარგად მახსოვს მასთან ერთად გატარებული ყოველი წუთი და ასე დარჩება ჩემს მეხსიერებას, სანამ ვიქნები. ეს იმიტომ, რომ საათებად ქცეული ძვირფასი წუთები, მხოლოდ საქართველოზე საუბარს ეთმობოდა. უძვირფასესი ადამიანი იყო ჩემთვის. იმ წამიდან, რაც მისი გარდაცვალების შესახებ გავიგე, მხოლოდ ეს მახსენდება: „როდესაც დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ბარბაზიდან გავიქეცი, ავედი ოთახში და ხმამაღლა ვღრიალებდი. მერე მომერიდა, მამშვიდებდნენ, ნუ გერიდება, გოგი, მარტო არ ხარ, სხვებიც ასეთ დღეში არიანო.“

გოგი ოჩიაური საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის წევრი იყო. ამის მიუხედავად, მან მთელი თავისი ცხოვრება ქართულ კულტურას მიუძღვნა. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, იყო სამხატვრო აკადემიის პროფესორი, ქანდაკების ფაკულტეტის სამხატვრო კლასის ხელმძღვანელი. აქტიურად იღებდა მონაწილეობას საქართველოსა და უცხოეთში გამართულ გამოფენებში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

თამაზ ჭეიშვილი: „სირცხვილის გრძნობა არ გეუფლებათ, როცა ამ სტრიქონებს კითხულობთ?“

მწერალი თამაზ ჭეიშვილი უახლეს ისტორიას იხსენებს და ქართული კულტურის იმ გამოჩენილ ადამიანებზე წერს, რომლებიც უყურადღებობით უდიდეს განსაცდელში ჩავარდნენ:

– იმათ საყურადღებოდ, ვისაც გარდაცვალების შემდეგ გაახსენდა ლიკა და შეწუხდა! მხოლოდ ძალიან ახლობლებმა იცოდნენ ლიკას პრობლემების და გაჭირვების ამბავი! ვიცი ეხლა „ტელნიაჟკას შემოიხევს“, ხელისუფლება! სად იყო კულტურის სამინისტრო, ერთხელ მაინც გაახსენდა ლიკა?

აი, ასე მოკლეს, დიახ, მოკლეს გოდერძი ჩოხელი! ჰქონდა თავის მოკვლის მცდელობა, ორჯერ ჰქონდა... თუმცა გიჟი არ ყოფილა! რატომ ცდილობდა სუიციდს, იცის ვინმემ? გაჭირვებამ მიიყვანა სასოწარკვეთილებამდე! ელემენტარული პირობები აღარ ჰქონდა!

ქეთი დოლიძე ავიღოთ, მსოფლიო დონის თეატრის რეჟისორი! ... და რაა მერე? ჯვარი სწერია ქეთის, ჩემს დას! იმდენს ცდილობენ, იმდენს ქილიკობენ, „უკეთებენ შხამის ინექციებს“, ვიდრე „მარილზე არ გაუშვებენ“ სასიქადულო ქალბატონს!

1995 წელს ჩემთან სამკურნალოდ მოვიდა ლადო ასათიანის ქალიშვილი, დიახ, დიდი ლადოსი, „მკვდარშობილ ლექსებს რომ წერდა თურმე“, ენა უნდა ამოაგლიჯო ამის მთქმელს! მოვიდა და „მკურნალობის საფასურად მამამისის წიგნი მომიტანა თავისი ავტოგრაფით! იმ წუთას, იმ წლებში, ამ ქალბატონს უკიდურესად უჭირდა! იცოდით ვინმემ?!

ილია ქართველებმა მოვკალით! მერე სულ „შახშეი მახშეი“ მოვიწყეთ და სისხლიანი ცრემლის დენით მივაბარეთ მიწას!

ფიროსმანის ამბავი დიდი ხნის წინ იყო და „ჯანდაბას“ ნუღარ გავიხსენებთ! მაგრამ აქ დღეს დიდი ქართველი პოეტის მურმან ლებანიძის ძმისშვილი სოსო ლებანიძე ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი კაცი, ემიგრაციიდან დაბრუნდა, იქნებ გამოვადგე სამშობლოსო! იცით ვინმემ, როგორ გაჭირვებაშია?!... პენსიაც არ დაუნიშნეს და უკიდურეს უმწეობაში აღმოჩნდა! აუწია შაქარმა... ფეხი მოჰკვეთეს! გაახსენდა ვინმეს სოსო ლებანიძე?!

გულწრფელად მიპასუხეთ, გთხოვთ, რამდენჯერ გიამაყიათ მურმანის ლექსებით და თუ გიამაყიათ, ეხლა, აი ამ წუთში, სირცხვილის გრძნობა არ გეუფლებათ, როცა ამ სტრიქონებს კითხულობთ?

დიდ გაჭირვებაშია მურმანის სისხლი და ხორცი, სოსო ლებანიძე, მაგრამ არავინ შეუწუხებია და დღესაც სამშობლოს ხსნის გზებზე ფიქრობს!

კიდევ ვიმეორებ – ქართველებს რომ არ გვყოლოდა ვაჟა, ტარიელ ხარხელაური იქნებოდა ჩვენი ვაჟა-ფშაველა! ჰკითხა ვინმემ, ბატონო ტარიელ, ჩემო ტარიელ, ძმაო, როგორ ცხოვრობ? იქნებ გიჭირს რამე?

რას ვერჩოდით ლია ელიავას? ამ ბავშვივით ფაქიზი გულის მქონე ქალბატონს? „ზვიადისტი“ არისო და კეთროვანივით მოკვეთეს, მოაქციეს იზოლაციაში! საბოლოოდ ვერ გაუძლო ასეთ ვერაგობას და... დადნა ქალი, სანთელივით... მოკვდა, წავიდა...

ვინმემ იცის, რა პრობლემები აქვს ჩვენს საყვარელ მწერალს გურამ დოჩანაშვილს? არ იცით? მთავრობავ, არც შენ იცი? საერთოდ თუ იცი რამე, დალოცვილო, გარდა იმისა, რომ „ხმები“ გჭირდება?! ვეღარ „გაძეხი“ რა ხმებით!

ეხლა რომ ვახსენო „ფიტავი და წყალი“, ვიღაც „ჩამქოლავს“... მაგრამ, მაინც გეტყვით! იცით რა მოხდა ამ დღეებში? ფიტავის ქვემოთ, საქართველოს სამხედრო გზას აკეთებენ. ძველ ასფალტს იღებენ, ახალს აგებენ, გზას აგანიერებენ! ერთი კვირის წინ, იქ კაფეში ყავას მივირთმევდით მე და ლენა. ყვითელჟილეტიანი კაცი შემოვიდა, „მეასფალტე“ მუშა. მინერალური წყალი იყიდა... ერთი სიტყვით, მიცნო ამ კაცმა. მოვიდა, ხელი ჩამომართვა, მადლობა გადამიხადა და ისეთი რამე მითხრა, ცრემლი ვერ შევიკავე:

– მე თქვენს წიგნზე გავიზარდე!

– რომელზე?

– „სირიუსი იდუმალი სტუმარი“ ფანტასტიკა რომ გაქვთ 1983 წელს გამოცემული!... თითქმის ზეპირად ვისწავლე ბავშვობაში!

...სავიზიტო ბარათი მთხოვა. მივეცი. რაღაცები გამომკითხა... მე ვუთხარი, აქ ფიტავში მაქვს აგარაკი ოცდაათი წელია... დამემშვიდობა და წავიდა.

ამ დილით მირეკავს ფიტავის დარაჯი... ვბეჭდავ ამ სტრიქონებს და ცრემლებს ვერ ვიკავებ... მირეკავს და მეუბნება:

– ორი დღეა თქვენი სახლის გარშემო ის ოღრო ჩოღრო გზები რო იყო, გაასწორეს და მოაასფალტეს „გალავინსკივით“, მააშ, კაცო! მეორადი ასფალტი დააგეს, ძველი, აყრილი ასფალტი, მაგრამ ახალს ჯობია მამაძაღლი ვიყო!

ეს გააკეთა უბრალო კაცმა, „ყვითელჟილეტიანმა“ მუშამ! მადლიერება გამოხატა დიდი ხნის შემდეგ, როგორც შეეძლო...

პ.ს. როგორ გამომრჩა ბესიკ დუღაშვილი! ბესიკ, მაპატიე! აი ასეა, „თვალი რომ მოსცილდებაო...“

ტელეპროგრამა

ხუთშაბათი
19 ოქტომბერი

06.00 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **06.30** დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა მორგან ფრიმანთან ერთად **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**ჩინგო ვეპრინე**" **10.00, 03.30** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ქვეყნიერ სიდიდის საიდუმლო**" **12.30** "არჩევნები" **14.00, 04.30** დღის მხ/ფ "**დილიჭანსი**" (ჯ.უეინი) **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი**" **18.30** დოკ/ფ "გონების თამაშები" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** "არჩევნები" **22.30** ტ/სერ. "**ამერიკული ოდისეა**" **23.30** მხ/ფ "**კრამერი კრამერის წინააღმდეგ**" (მ.სტრიპი) **01.30** მხ/ფ "**თეთრი ეშვი**" (ი.ჰოუკი)

06.30, 16.00 სერ. "**გაუვილი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.50** ქრონიკა **10.10, 14.40** სერ. "**ელიფი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**ქალაქის გული**" **8** სერ. **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**დედა**" **4** სერ. **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** სპორტი იმედზე **00.30** მხ/ფ "**მოქალი ნაზად**" **02.15** მხ/ფ "**ულტრა ამერიკელი**" **04.05** მხ/ფ "**ბალღა**"

06.00, 18.50 სერ. "**დესპოტი ქმარი**" **07.00, 20.03** სერ. "**დედამიწელი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიპას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი**" **16.55** სერ. "**უსასრულო მოლოდინი**" **22.00** პროფილი **23.30** გააცინე და მოიგე **00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი **02.00** მხ/ფ

08.00 ან/ფ "ავატარი 2" **09.00** სერ. "**ციხფერი სისხლი-3**" **11.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები-3**" **13.00** სერ. "**ძვლები 10**" **17.00** სერ. "**სამხედროების ცოლები**" **19.00** სერ. "**ციხფერი სისხლი-3**" **20.00** სერ. "**ციხფერი სისხლი 4**" **21.00** სერ. "**სპირალი 4**"მე-6 სერია **22.30** მხ/ფ "**ერთვნული საგანძური**" **01.00** მხ/ფ "**ერთვნული საგანძური: საიდუმლოების წიგნი**" **03.20** მხ/ფ "**ედ ვუდი**" **05.40** მხ/ფ "**გიჟური**" **ხულელური სიყვარული**"

08.00 ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.00** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 12.40, 13.00, 17.00, 19.00, 00.40, 01.00** ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.10** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.45** ფაბრიკა **18.30** სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " **21.00** დ/ფ "იანქოშვილი" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** სახალხო კონტროლი **00.00** სერ. "**შავი სია**" **3.45** ცენზურის გარეშე

ვირველი **7.55** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**ცხოვრების გზა**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **13.40, 23.00** უცხოეთის ამბები **14.00, 16.00** დღის ამბები **15.00, 22.30** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00** მხ/ფ **20.00** პირველები **23.30** ღალატი

06.15 მოკ. მხ/ფ "**ბზიანეთი**" **06.25** მუს. პაუზა **06.40** სამყაროს შექმნა **06.45** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია "ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ბეჭედი" **07.25** ქართული ალბომი **07.50** პატერიკი-"ცხოვრების ძიების და სიკეთის შესახებ" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება-მარტორქები" **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** შარავანდედი-"ვახტანგ გორგასალი, ილია II" **10.40** საღვთისმეტყველო საუბრები **11.30** ეპოქის სახელები **12.05** მხ/ფ "**რაჭა ჩემი სიყვარული**" **13.20** ან/ფ "მძინარე მზეთუნახავი" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** ტრაპეზი "ბერძნული სალათი-ქათმის ფარმაჟანი" **15.35** ქრისტიანული ხელოვნება "ბაზილიკა და მისი განვითარება საქართველოში" **16.15** კონცერტი **17.30** თბილისის ტაძრები "სიონი" **18.10** ბავშვები მუზეუმში "ხალხ. და გამოყ. ხელოვნების მუზეუმი" **18.40** ძველი აღთქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**ჩარიარაბა**" **20.40** ძილი ნებისა "ტომი და ჯერი" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.15** დ/ფ "წელიწადის დრონი" **22.20** ჩვენი საგანძური **22.35** ჩვენი ფონდი "ქართ. ქრისტიანული ძეგლები ჩრ. კავკასიაში" II ნაწ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.30** ტალანტები და თაყვანისმცემლები "გურამ საღარაძე" **01.30** კონცერტი "ანდრე ბოჩელი"

მაესტრო **10.00 - 23.00** მთავარი თუმა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

კალეიდოსკოპი

მაიკლ ფასბენდერი და ალისია ვიკანდერი ფარულად დაქორწინდნენ

კვირას კუნძულ იბიცაზე მაიკლ ფასბენდერი და ალისია ვიკანდერი ერთად შენიშნეს. ორივეს თითებზე ბეჭდები ეკეთათ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ეს

მოჰყვა იმ გავრცელებულ ხმებს, რომ წყვილი კუნძულზე იმისთვის გაემგზავრა, რომ საიდუმლო ვითარებაში დაქორწინებულიყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ ცნობა მათი დაქორწინების თაობაზე ჯერ არ დადასტურებულა, ის რომ მათი დაქორწინება შემდგარია, მათ მარცხენა ხელის უსახელო თითებზე გაკეთებული ბეჭდები ადასტურებს.

40 წლის მაიკლი და 29 წლის ალისია სანა-პიროსთან მდებარე რესტორანში ახლობლების გარემოცვაში მყოფები შენიშნეს.

ირლანდიელმა ფასბენდერმა და შვედმა ვიკანდერმა ერთმანეთი ფილმ „სამყარო ოკეანეში“ გადაღებების დროს გაიცნეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დავით ზარდიაშვილი: „მიწაზე სათემო საკუთრება უნდა აღდგეს“

დასაწყისი მე-6 გვერდზე

– რას ნიშნავს კომუნალური რეფორმა?

– კომუნალური რეფორმა ადგილობრივი თვითმმართველობის გამგებლობის სფეროს გაფართოებას ნიშნავს; ისეთ კომუნალურ მომსახურეობებს, როგორიც არის წყალმომარაგება, ელექტრომომარაგება თუ გაზმომარაგება, მუნიციპალიტეტის საკუთარ კომპეტენციებში გადაცემას; ასევე მათი სისრულისა და ექსკლუზიურობის უზრუნველყოფასაც. დღეს წყალმომარაგება სწორედ მუნიციპალიტეტის საკუთარი კომპეტენციაა, მაგრამ მხოლოდ ქაღალდზე. უნდა მივაღწიოთ იმას, როგორც მომსახურეობის ტარიფების განსაზღვრა, ასევე მომსახურეობის წესებისაც (რაც დღეს სემეკის გამგებლობაშია) სწორედ ადგილობრივ თვითმმართველობას დაუბრუნდეს, ისევე, როგორც შესაბამისი ინფრასტრუქტურის მართვაც. არა მხოლოდ წყალმომარაგების, არამედ სხვა კომუნალურ მომსახურეობათა მუნიციპალურ გამგებლობაში სრულად და ექსკლუზიურად გადაცემა – აი ეს იქნება მასშტაბური კომუნალური რეფორმის შინაარსი.

– ადმინისტრაციულ რეფორმაში რაღას გულისხმობთ?

– ეს მუნიციპალური და სათემო მართვის არსებით გარდაქმნას ნიშნავს. ადგილობრივი თვითმმართველობის ისეთი ადმინისტრაციული სისტემის შექმნას, რომლის ქვაკუთხედიც მოქალაქეთა მონაწილეობა და ჩართულობა იქნება. ბუნებრივია, აქ მნიშვნელოვანი იქნება საჯარო სამსახურის რეფორმა – პროფესიული მუნიციპალური სამსახურის შექმნა; თუმცა ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება ინოვაციურობა, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება და მონაწილეობითი დემოკრატიისათვის ისეთი წარმატებული პროექტების, როგორიცაა თუნდაც, დღეს მიმდინარე „საზოგადოებრივი ცენტრები“ სოფლებსა თუ ქალაქებში, მთელი ქვეყნის მასშტაბით განხორციელება.

– რას წარმოადგენს საზოგადოებრივი ცენტრი?

– „საზოგადოებრივი ცენტრები“ დღეს 40 დასახლებაში მოქმედებს. ამ წარმატებულ პროექტს იუსტიციის სამინისტროს „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ ახორციელებს. „საზოგადოებრივი ცენტრი“ წარმოადგენს თანამედროვე, მაღალტექნოლოგიურ ოფისს, რომელიც საშუალებას იძლევა ნებისმიერი სათემო, მუნიციპალური თუ სახელმწიფო მომსახურეობა მოქალაქემ ადგილზევე მიიღოს, ზუსტად იმავე უმაღლესი სტანდარტით, როგორც ეს იუსტიციის სახლში ხდება. მაგრამ უფრო არსებითია, რომ საზოგადოებრივ ცენტრი თავად თემის განკარგულებაში არსებული ოფისიცაა – მისი მეშვეობით შესაძლებელია უშუალო, პირდაპირი მონაწილეობა, ნებისმიერი სამოქალაქო თუ ბიზნეს-აქტივობის თანამედროვე ინსტრუმენტების გამოყენებით განხორციელება; რეალურად ეს – თანამედროვე სათემო განვითარების მომავალია.

– როდის დამკვიდრდება სრულად ეს ბედნიერი მომავალი?

– რასაკვირველია, დეცენტრალიზაციის სტრატეგიით დასახული მიზნების მიღწევა ერთბაშად შეუძლებელი იქნება და მას სჭირდება მწყობრი, გეგმაზომიერო პოლიტიკის განხორციელება, რომელიც წარმოდგენილი დოკუმენტით სამი საარჩევნო ციკლის განმავლობაში, ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს 2018-30 წლებში. სწორედ ასეთი პოლიტიკა გახდება როგორც ადგილობრივი დემოკრატიის, ასევე სწრაფი მუნიციპალური თუ სათემო განვითარების საფუძველი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

19 ოქტომბრისთვის

- აშშ დოლარი — 2.4826
- ევრო — 2.9305
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0329
- 100 რუსული რუბლი — 4.3371

ამინდის პროგნოზი 19 ოქტომბრისთვის



3 ოქტომბრიდან



იორამ ჩადუნელი საზღაური

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

მერაბ ნინიძის „იუპიტერის მთვარემ“ გრანპრი მოიგო

ქართველი მსახიობის მერაბ ნინიძის მონაწილეობით გამოსულმა ერთ-ერთმა ბოლო ფილმმა „იუპიტერის მთვარე“ მთავარი პრიზი – გრანპრი მოიგო.

რეჟისორ კორნელ მუნდრუცოს მიერ გადაღებული ფილმი მონაწილეობდა რიგით 50-ე საერთაშორისო კინოფესტივალში, რომელიც ფანტასტიკის ჟანრში გადაღებულ ფილმებს აერთიანებს.

„იუპიტერის მთვარემ“ ორ ნომინაციაში გაიმარჯვა. ფილმი მთავარი ნომინაციის გამარჯვებული გახდა და გრანპრი დაიმსახურა. „იუპიტერის მთვარე“ საუკეთესო სრულმეტრაჟიან ფილმად დაასახელეს. მეორე პრიზი კი ფილმმა საუკეთესო სპეც-ეფექტებისთვის მიიღო.

„იუპიტერის მთვარე“ ახალგაზრდა ემიგრანტის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობისას ლტოლვილთა ბანაკში მოხვდება. მერაბ ნინიძე სწორედ ამ ბანაკის ექიმის როლს ასრულებს.

წელს ფილმი კანის კინოფესტივალის მთავარ საკონკურსო პროგრამაშიც მოხვდა და ოქროს პალმის რტოს მოსაპოვებლად იბრძოდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

იუმორი

მიუხედავად ცოლის გაუთავებელი საყვედურებისა და ლანძღვა-გინებისა, ქმარი სახლში ყოველდღე მთვრალი მიდიოდა. ერთხელაც ქალს ახლობელმა ურჩია, რომ სახლში დაბრუნებულ ქმარს ალერსიანად მოპყრობოდა, მისთვის სახლში დაბრუნება სასიამოვნო იქნებოდა და აღარ დალევდა. ქალი ასეც მოიქცა. სახლში დაბრუნებულ ნასვამ ქმარს ალერსიანად შეხვდა, აკოცა, ტანსაცმლის გამოცვლაში მიეხმარა, გემრიელად ასადილა, გვერდით მიუჯდა და ეუბნება:

– ძვირფასო, უკვე გვიანია, საძინებელში ხომ არ გადავინაცვლოთ?

– ჰო, თორემ სახლში მეუღლისგან სკანდალი მაინც არ ამცდება...

●●●

სამი დიდი ხნის უნახავი თანაკლასელი შეხვდა ერთმანეთს. სხედან და საუბრობენ. ერთი ამბობს:

– მე აკადემიკოსზე ვარ გათხოვილი.

– და რამდენი წლისაა შენი აკადემიკოსი?

– ოთხმოცის.

– კი მაგრამ, სქესობრივი ცხოვრების საქმე როგორ გაქვთ?

– ახალგაზრდა ასპირანტების მეტი რა ჰყავს...

– მე კი გენერალს გავყევი ცოლად, – ამბობს მეორე.

– რამდენი წლისაა შენი გენერალი მეუღლე?

– თითქმის ოთხმოცი წლისაა.

– კი მაგრამ, სქესობრივი ცხოვრების საქმე როგორ გაქვთ?

– ახალგაზრდა ადიუტანტები ჰყავს.

– არც მე ვუჩივი საყვარლების ნაკლებობას, მხოლოდ გათხოვილი არ ვარ, – განაცხადა მესამემ.

●●●

ექიმი პროქტოლოგი პაციენტს გასინჯვის შემდეგ ეუბნება:

– ჰოო, თქვენ უკანა შესასვლელში ნახეთქი გაქვთ.

– არა, არა, შესასვლელში კი არა გამოსასვლელში.

***

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რა განსხვავებაა იაპონურ და ევროპულ ავტომობილებს შორის:

– რა და იაპონურში ცოლის ლაქლაქი მარცხენა მხრიდან გესმის, ევროპულში კი – მარჯვნიდან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

5 ოქტომბრიდან



რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

10 ოქტომბრიდან

ქართული ჰაგიოგრაფია

წიგნში თავმოყრილია სამი ჰაგიოგრაფიული ძეგლის – „შუშანიკის წამების“, „აბოს წამებისა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ – პარალელური ტექსტები, რომელთაგან ერთი წარმოადგენს ძველ ქართულ ორიგინალს, ხოლო მეორე – ახალ ქართულ ენაზე შესრულებულ უზუსტეს ვერსიას.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

დავით ხოჭოლავამ შახტარის მწვრთნელის ქება დაიმსახურა

დონეცკის შახტარის და საქართველოს ნაკრების ცენტრალურმა მცველმა დავით ხოჭოლავამ ფეიონარდთან თამაშის შემდეგ შახტარის მწვრთნელის პაულო ფონსეკას შექება დაიმსახურა. ხოჭოლავა მოედანზე 77-ე წუთზე შევიდა, როდესაც უკრაინული გუნდი კაცნაკლული დარჩა რაკიტსკის გაძევების შემდეგ. შახტარი 2:1 იგებდა და მათ ანგარიშის შენარჩუნება მოახერხეს, რაც ხოჭოლავას დამსახურებაც არის, რომელმაც უშეცდომოდ ითამაშა. ქართველმა მცველმა მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ის მოხარულია გამარჯვებით, მაგრამ ჯგუფიდან გასვლისთვის ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

3 ტურის შემდეგ შახტარი 6 ქულით ჯგუფში მეორე ადგილს იკავებს.

ზიდანი თავისი გუნდის თამაშით კმაყოფილია

მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა ტოტენჰემთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ თავისი გუნდის თამაშით კმაყოფილია. რეალმა ვერ შეძლო ტოტენჰემის დამარცხება და შეხვედრა 1:1 დასრულდა. მიუხედავად ამისა, ზიდანმა აღნიშნა, რომ მისმა ფეხბურთელებმა მოედანზე თავი კარგად წარმოაჩინეს.

– ჩვენ საკმაოდ ბევრი საგოლე მომენტი შევქმენით, თუმცა მეტოქეც კარგად უტევდა და შეეძლო ჩვენი კარის აღება. გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, თუმცა ჩვენთვის გამარჯვება უფრო მისაღები იქნებოდა. უემბლიზე მოსაგებად გავალთ, – განაცხადა ზინედინ ზიდანმა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იურგენ კლოპმა ლივერპულის თამაშს იდეალური უწოდა

ლივერპულმა სტუმრად მარიბორი 7:0 გაანადგურა და უიღბლო სერია შეწყვიტა. იურგენ კლოპის გუნდი საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე ვერ ახერხებდა გამარჯვების მოპოვებას და მთელი ჯავრი მარიბორზე იყარა, რომელმაც ინგლისურ კლუბს ვერაფერი დაუპირისპირა.

იურგენ კლოპი თავისი შეგირდების გარჯით ძალიან კმაყოფილი დარჩა და მისი თქმით, ყველა ფეხბურთელმა იდეალურად ითამაშა.

– ასეთი კარგი თამაში დიდი ხანია არ გვიჩვენებია. ყველა ფეხბურთელმა შეასრულა თავისი დავალება და შედეგიც სახეზეა, – განაცხადა იურგენ კლოპმა.

მატიას ზამერმა ვოლფსბურგს უარი უთხრა

მიუნხენის ბაიერნის ყოფილმა სპორტულმა დირექტორმა მატიას ზამერმა ვოლფსბურგს უარი უთხრა და ამ გუნდში მუშაობას არ აპირებს. ზამერს ერთ-ერთი წამყვანი თანამდებობა შესთავაზეს, მაგრამ მან უარი თქვა.

მიზეზი ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, სავარაუდოდ, ზამერი თავის ჯანმრთელობას უფრთხილდება. სწორედ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, მან თავის დროზე ბაიერნი დატოვა. ამჟამად ის ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე მუშაობს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ძველი გერმანული ტომი; 2. ღვინის მწარმოებელი ერთ-ერთი უმსხვილესი ამერიკული ფირმა; 3. ქართველი მხატვარი ქალი; 4. წვრილმანებით ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში; 5. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 8. ბავშვთა კვების პროდუქტების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 9. სასულიერო პირთა უმაღლესი წოდება კათოლიკურ ეკლესიაში; 12. ზღვაში წვეტად შეჭრილი ხმელეთის ნაწილი; 14. მდინარე სვანეთში; 16. ავი, ანჩხლი დედაკაცი.

თარაზულად: 1. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანის მეტსახელი საფრანგეთში; 6. პირველი გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის სახელწოდება; 7. მიწაში ბინადარი ცხოველი; 9. ზღვისპირა კურორტი ოჩამჩირის რაიონში; 10. ძველი ებრაული ბიბლიის სახელწოდება; 11. ყურის ექიმი; 13. მომღერალი მუსიკოსი შუა აზიაში; 15. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 17. ფაიფურის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 18. ქალაქი-მუზეუმი საქართველოში; 19. ამერიკული ავია-კოსმოსური კონცერნი; 20. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა